საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა

მომზადებულია ერთობლივად ორგანიზაციასთან - „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2020

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის მიზანი 6

კვლევის მეთოდოლოგია 6

- კვლევის სამიზნე ჯგუფები 6
- კვლევის განხორციელების ეტაპები 7
- კვლევის შედეგად შესაფასებელი საკითხები 7
- კვლევის ინსტრუმენტები 8
- არასრულწლოვანთა სასამართლოს სხდომების მონიტორინგის პრინციპები 8

ძირითადი მიგნებები 9

კვლევის ანალიზი 10

- დისკრიმინაციის დაუშვებლობა 12
- დაცვის უფლება 13
- კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობა 15
- თარჯიმნის მომსახურეობა 18
- სპეციალიზირებული პირების ჩართულობა 19
- მოსამართლეები 21
- პროკურორები 23
- ადვოკატები 24
- საპროცესო წარმომადგენლები/ფსიქოლოგები 26
- სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება 28
- ინდივიდუალური შეფასების ანგარიშები 30
- კონფიდენციალობის დაცვა 33
- ბავშვის მონაწილეობის უფლება და უფლება იყოს მოსმენილი 35
- ბავშვზე მორგებული გარემო (ინფრასტრუქტურა) 39
- თბილისის საქალაქო სასამართლო 40
- რუსთავის საქალაქო სასამართლო 45
- ქუთაისის საქალაქო სასამართლო 52
- ინფრასტრუქტურის მონიტორინგის შეჯამება 56
- ბავშვების დაკითხვა სასამართლოში 59

მოსამართლის და დაკითხვის მწარმოებელი პირების მიერ ბავშვისთვის საკუთარი თავის წარდგენა და შეხვედრის/დაკითხვის მიზნის განმარტება 62
დაკითხვისას შესვენებებით სარგებლობა 65
დაკითხვის პროცესი 66
ფარული დადანაშაულების შემცველი კითხვები 67
ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა 70
კითხვის გამეორება 71
დახურული კითხვები 73
პროფესიული ტერმინოლოგია, ბუნდოვანი და ჰიპოთეტური შეკითხვები 74
დასკვნა 75
რეკომენდაციები 77

შესავალი

2015 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, შეიქმა და ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ძირითად მიზნად ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვასა და მასზე მორგებულ, ჰუმანური მართლმსაჯულების უზრუნველყოფას ისახავს.

მართლმსაჯულების განხორციელებისას ბავშვის ინტერესის, როგორც მთავარი ღირებული ობიექტის დაცვა, ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელია და სწორედ ამიტომ, კოდექსის ამოქმედებას დადებითად შეხვდა როგორც საქართველოს სახალხო დამცველი, ისე სამოქალაქო საზოგადოება.

კოდექსმა მნიშვნელოვანი აქცენტი გააკეთა აღდგენით მართლმსაჯულებაზე და მოითხოვა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი უწყებებისგან გაატარონ იმგვარი ღონისძიებები, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს მისცემს საშუალებას, გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისთვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს დანაშაულის შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს დაზარალებულს. სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები და განსაკუთრებით - პატიმრობა, კოდექსმა როგორც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი საშუალება ისე განსაზღვრა. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან (შემდეგში - „ბრალდებული“)[1], არასრულწლოვან მოწმეებთან და დაზარალებულებთან ურთიერთობის წინაპირობად კოდექსმა პროცესის მონაწილე პირებისგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციაში კვალიფიკაცია მოითხოვა. სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის განისაზღვრა სპეციალური, შედარებით ხანმოკლე ვადები და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1994 წელს საქართველომ მოახდინა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება და იმ დღიდან მოყოლებული მას აღებული აქვს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები. კონვენციის თანახმად, ბავშვები არიან არამარტო განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტები, არამედ სრულუფლებიანი სუბიექტები სამართალწარმოების პროცესში, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ჩართულობა და მათი ხმა მკაფიოდ ისმოდეს. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის დაცვა პირდაპირ აისახება მათ მომავალ განვითარებასა და საზოგადოებაში მათ მიერ შესაბამისი ადგილის დაკავებაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბავშვებთან მიმართებაში, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემაში ხვდებიან.

„პეკინური წესები“ ხაზს უსვამს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში უნდა შეიქმნას მუდმივი შეფასებითი გამოკვლევის მექანიზმი,

[1] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით (მუხ. 3, ნაწ. 2), კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნად ითვლება როგორც არასრულწლოვანი ბრალდებული, ისე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი არასრულწლოვანი. შესაბამისად, ვინაიდან წინამდებარე ანგარიშის ფოკუსი არ ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე და შესაბამის სამართალწარმოებაზე, ანგარიშში გამოყენებული იქნება ტერმინი „ბრალდებული“.

შეგროვდეს და გაანალიზდეს სათანადო მონაცემები, ინფორმაცია ადმინისტრირების შეფასების, მომავალში გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით.[2]

მართლმსაჯულების სისტემაში, სასამართლო სხდომების მონიტორინგი წარმოადგენს სასამართლო რეფორმის მნიშვნელოვან იარაღს, რაც ხელს უწყობს სამართლიანი სასამართლოს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი გარანტიების დაცვას. დამოუკიდებელ მონიტორინგს შეუძლია მოახდინოს სასამართლო სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და წარმოადგინოს რეკომენდაციები უკეთესი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით. ეფექტიანი მონიტორინგი, შეფასების სისტემა შესაძლებლობას იძლევა დაიგეგმოს რესურსების მიზნობრივი გამოყენება, შემუშავდეს და დაიხვეწოს ახალი ინიციატივები.

არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს იმგვარად, რომ დაცული იყოს ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორიც არის - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრული საპროცესო და სხვა სახის უფლებები, სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში დაეფუძნოს ხარისხის კონტროლის ეფექტიან სისტემას.

მხოლოდ საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება, ცხადია, ვერ ჩაითვლება გამართული მართლმსაჯულების განხორციელებად. სწორედ, ნორმატიული აქტის პრაქტიკული აღსრულების შემოწმება დაისახა წინამდებარე ანგარიშმა მიზნად.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ არასრულწლოვანთა მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო სხდომები დახურულია. დახურული სხდომების მონიტორინგის ექსკლუზიური უფლებამოსილება კი მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს გააჩნია.

შესაბამისად, 2019 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა და ააიპ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელეს ერთობლივი პროექტი: „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა“.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვის ხარისხის შემოწმების მეთოდად შერჩეული იყო სასამართლო განხილვების მონიტორინგი.

[2] გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ, “პეკინური წესები”, წესი 30.3.

სასამართლო განხილვების მონიტორინგი, 2019 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით, ჩატარდა სამ დიდ ქალაქში, კერძოდ, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში.

აქვე მადლობას ვუხდით სამივე სასამართლოს თანამშრომლობისთვის და კვლევის ჩატარების ხელშეწყობისთვის.

პროცესების მონიტორინგი ჩატარდა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისა და ააიპ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ წარმომადგენლების მიერ. სულ მონიტორინგში მონაწილეობდა ექვსი მონიტორი (სახალხო დამცველის აპარატის ოთხი თანამშრომელი და სახალხო დამცველის მიერ გაცემული ერთჯერადი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ ორი წარმომადგენელი). მონიტორებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე გაიარეს გადამზადება როგორც სამართლებრივ, ისე ფსიქოლოგიურ ასპექტებში.

პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ შეიმუშავა მონიტორების ეთიკის კოდექსი, მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპები და მეთოდოლოგია, სპეციალური კითხვარები.

კვლევის შედეგები შეაჯამეს და მონიტორების კითხვარები გაანალიზეს არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ ექსპერტებმა, სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო კოორდინირებით. დოკუმენტი მოიცავს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ ერთობლივ რეკომენდაციებს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, სასამართლო სხდომებზე დაკვირვების გზით, შეფასდეს სასამართლო განხილვის პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფ და მოწმე/დაზარალებულ ბავშვთა უფლებების დაცვის ხარისხი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის სამიზნე ჯგუფები

ა) პირდაპირი: კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები; მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნები.

ბ) ირიბი - მოსამართლეები; პროკურორები; ადვოკატები; კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლები; ფსიქოლოგები; თარჯიმნები.

კვლევის განხორციელების ეტაპები

ა) <u>ინფორმაციის შეგროვება.</u> ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა ორი გზით: პირველი ინსტანციის სასამართლოების ინფრასტრუქტურის შეფასება; პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომებზე დაკვირვება და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა (აუდიო ჩანაწერები).

მონიტორინგი განხორციელდა სასამართლოს განხილვის შემდეგ ეტაპებზე: პირველადი წარდგენა/აღკვეთის ღონისძიებების განხილვის სხდომა და საქმის არსებითი განხილვის სხდომა (როგორც ბრალდებულ, ასევე მოწმე/დაზარალებულ ბავშვების მონაწილეობით). კერძოდ:

- სულ განხორციელდა 49 სასამართლო სხდომის მონიტორინგი - თბილისის (42 სხდომა), ქუთაისის (4 სხდომა) და რუსთავის (3 სხდომა) საქალაქო სასამართლოებში;
- პირველადი წარდგენა/აღკვეთის ღონისძიებების განხილვის სხდომა დამონიტორინგდა 3 შემთხვევაში, ხოლო არსებითი განხილვის სხდომა 45-ჯერ (აქედან 9 სხდომაზე განხორციელდა მოწმე/დაზარალებული ბავშვების დაკითხვა);
- მონიტორინგის განხორციელების პროცესში დავაკვირდით 35 ბრალდებულის (აქედან 4 გოგონა) და 9 მოწმე/დაზარალებული ბავშვის (აქედან 3 გოგონა); 10 მოსამართლის (თბილისის, ქუთაისი და რუსთავის საქალაქო სასამართლოების); 19 პროკურორის; 38 ადვოკატის (10 კერძო, 28 იურიდიული დახმარების სამსახურის); 40 კანონიერი წარმომადგენლის და 5 საპროცესო წარმომადგენლის ქმედებებს სასამართლოს განხილვის პროცესში;
- ცალკე განხორციელდა თბილისის, ქუთაისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მონიტორინგი ინფრასტრუქტურის შეფასების მიზნით (3 ვიზიტი).

ბ) <u>შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი.</u> შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი მოიცავდა რამოდენიმე ეტაპს: პრობლემების იდენტიფიცირება; პრობლემების დადასტურება/დოკუმენტირება და პრობლემების საფუძვლების იდენტიფიცირება.

<u>გ) ანგარიშის მომზადება.</u> კვლევის ანგარიშში აქცენტი გაკეთდა, როგორც გამოწვევებზე, ასევე პოზიტიურ დინამიკაზე. ანგარიშის შედეგად მომზადდა რეკომენდაციები, რომლის ადრესატებიც არიან სისხლის სამართლის პროცესში ჩართულ მხარეები/პირები (მოსამართლე; პროკურორი; ადვოკატი; საპროცესო წარმომადგენელი; ფსიქოლოგი; ექსპერტი) და უწყებები (იუსტიციის უმაღლესი საბჭო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; გენერალური პროკურატურა; იურიდიული დახმარების სამსახური; ადვოკატთა ასოციაცია; სოციალური მომსახურეობის სააგენტო).

კვლევის შედეგად შესაფასებელი საკითხები

ა) საპროცესო უფლებები - დაცვის უფლება; კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობა; სპეციალიზირებული პირების ჩართულობა; სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება; თარჯიმნის მომსახურეობა; ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების განხილვის საკითხი; კონფიდენციალობის დაცვა.

ბ) ბავშვზე მორგებული გარემო - სასამართლოების ინფრასტრუქტურის შეფასება; ბავშვებისთვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტება გასაგები ენითა და ფორმით; ბავშვის ჩართულობა (მონაწილეობის უფლება) და მისი უფლება იყოს მოსმენილი.

გ) სპეციფიური ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხების შეფასება. ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებთან, შშმ პირებთან და გოგონებთან დაკავშირებით შეფასდა შემდეგი საკითხები - შესაძლო დისკრიმინაციული დამოკიდებულება; სიძულვილის ენის გამოყენება; არაეთიკური და ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეუსაბამო ქცევა ამ ჯგუფების მიმართ.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის განხორციელების მიზნით, როგორც უკვე აღინიშნა, მომზადდა შემდეგი სახის ინსტრუმენტები[3]:

ა) არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები;

ბ) მონიტორების ქცევის წესები - ეთიკის კოდექსი;

გ) არასრულწლოვანთა სასამართლო განხილვის მონიტორინგის კითხვარი - პირველადი წარდგენა/აღკვეთი ღონისძიებების განხილვის სხდომის; საქმის არსებითი განხილვის სხდომის (ბრალდებული ბავშვების მონაწილეობით); საქმის არსებითი განხილვის სხდომის (მოწმე/დაზარალებული ბავშვების მონაწილეობით); საპროცესო შეთანხმების სხდომის.

არასრულწლოვანთა სასამართლოს სხდომების მონიტორინგის პრინციპები

არასრულწლოვანთა სასამართლოს სხდომების მონიტორინგი ეყრდნობოდა შემდეგ პრინციპებს:

ა) პროფესიონალიზმი (მონიტორების, მკვლევარების);

ბ) ჩაურევლობა (მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის დამოუკიდებლობისადმი პატივისცემა);

გ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა (მონიტორების, მკვლევარების);

[3] ხსენებული დოკუმენტები დანართის სახით ერთვის ანგარიშს.

დ) კონფიდენციალურობა (მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ბავშვების პერსონალური მონაცემების დაცვა).

ძირითადი მიგნებები

კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები ნამდვილად მოიტანა ამ სფეროში. როგორც წესი, ყველა მონაწილე სუბიექტი არასრულწლოვან ბრალდებულთან, დაზარალებულთან და მოწმესთან შემხებლობაში არის სპეციალიზირებული, რომელთაც აქვთ გარკვეული სპეციფიური ცოდნა, რაც საჭიროა ბავშვთან კომუნიკაციაში. განსაკუთრებით პოზიტიურად გამოავლინა პროფესიული უნარ-ჩვევები რამდენიმე მოსამართლემ, პროკურორმა თუ ადვოკატმა. მათი ფოკუსი მთლიანად ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვაზე იყო მიმართული და მაქსიმალურად ცდილობდნენ ბავშვი პროცესის მთავარი მოქმედი სუბიექტი ყოფილიყო, ეკონტაქტათ ბავშვთან მისთვის გასაგები ენითა და ფორმით, მოესმინათ მისთვის. თუმცა, სამწუხაროდ, მსგავსად პოზიტიურად ხშირ შემთხვევაში ვერ შეფასდებოდა მიმდინარე სასამართლო განხილვები.

პრობლემური იყო ის გარემოც, სადაც ბავშვის მონაწილეობით მიმდინარეობდა სასამართლო განხილვები. სასამართლო ინფრასტრუქტურა ძირითად შემთხვევებში ვერ პასუხობს სტანდარტებს. ამ მიმართულებით გაცილებით პოზიტიური ვითარება გვხვდება რუსთავის საქალაქო სასამართლოში, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

გამოვლენილი ძირითადი პრობლემები ასე გამოიყურება:

- კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა სასამართლო განხილვის ეტაპზე ნომინალურია;
- ბავშვი ძირითად შემთხვევებში ვერ გრძნობს კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მხარდაჭერას და ვერ ამყარებს მასთან კომუნიკაციას;
- პროცესში მონაწილე პირები, გავლილი სპეციალიზაციის კურსის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, არ ფლობენ საკმარის უნარებს და არ აქვთ სრულყოფილი კვალიფიკაცია;
- პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის შემოწმების მიზნით არ არსებობს ეფექტიანი მექანიზმი;
- არ არსებობს უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფსიქოლოგებისა და საპროცესო წარმომადგენლების (როგორც წესი, სოციალური მუშაკების) გადამზადებაზე (სპეციალიზაციაში);
- თარჯიმნები ყოველთვის სრულყოფილად და სინქრონულად არ ახდენენ თარგმანს;
- ფსიქოლოგების ჩართულობის მაჩვენებელი/სიხშირე ძალიან დაბალია;
- მართლმსაჯულება ყოველთვის არ ხორციელდება ბავშვისთვის გასაგები ენითა და ფორმით;

- სასამართლო განხილვის პროცესში ბავშვის მონაწილეობის უზრუნველსაყოფის მიზნით, მოსამართლის პროაქტიულობის დონე, რიგ შემთხვევებში, დაბალია;
- მოსამართლეების, ადვოკატების და პროკურორების ქმედებები ყოველთვის არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;
- საერთაშორისო პრინციპების ცოდნისა თუ გამოყენების, დასაბუთების ხარისხი პროცესის მონაწილე პირების მხრიდან არ არის დამაკმაყოფილებელი;
- არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის დაკითხვის პროცესი მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება;
- ხშირია სასამართლო სხდომები გადადების თუ დაგვიანების ფაქტები;
- ხშირ შემთხვევაში, არ არის დაცული ბავშვის პერსონალური ინფორმაცია/კონფიდენციალურობის პრინციპი;
- სასამართლოებში არ არის შექმნილი ბავშვზე მორგებული გარემო;[4]
- სხდომათა დარბაზები რიტუალურია და ბავშვისთვის დამთრგუნველი;
- სასამართლო ინფრასტრუქტურა სრულად არ არის შშმ ბავშვებისთვის ადაპტირებული;
- ბავშვებისთვის არ არის ცალკე მოსაცდელი სივრცე;
- აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაშეფარდებული არასრულწლოვნები არ იმყოფებიან სტანდარტების დაცვით მოწყობილ ოთახებში.

დასახელებული ხარვეზების მიღმა არის სხვა არაერთი პრობლემა, რომელზეც დეტალურად იქნება საუბარი კვლევის ანალიზის თავში.

კვლევის ანალიზი

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, კვლევების/ანალიზის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის საფუძვლის გამოყენება, საყოველთაოდ აღიარებულია მნიშვნელოვან მექანიზმად, რათა პრაქტიკა შეესაბამებოდეს თეორიაში არსებულ მიღწევებს და მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება და გაუმჯობესება. მუდმივი კავშირი კვლევებსა და პოლიტიკას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის[5]. მნიშვნელოვანია, რომ სახელწიფოებმა შეაგროვონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკისა და ადმინისტრირების შესახებ ზუსტი, დეტალიზებული მონაცემები და აკონტროლონ ისინი. ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასების სისტემა შესაძლებლობას იძლევა დაიგეგმოს რესურსების მიზნობრივი გამოყენება და შემუშავდეს, დაიხვეწოს ინიციატივები. მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის კონტროლის სისტემა უწყებებში იყოს დანერგილი იმგვარად, რომ მუდმივად, ყოველდღიურ რეჟიმში შესაძლებელი იყოს პროცესის ანალიზი, ხარვეზების იდენტიფიცირება და სისტემის გაუმჯობესების მიზნით

[4] რუსთავის საქალაქო სასამართლოში ამ მიმართულებით არის გაცილებით პოზიტიური ვითარება და ამაზე იქნება საუბარი დეტალურად.

[5] გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ, "პეკინური წესები",.წესი 30, კომენტარი.

რეკომენდაციების შემუშავება. „პეკინურ წესებში“ აღნიშნულია, რომ „ძალისხმევა უნდა დაეთმოს აუცილებელი გამოკვლევის ორგანიზებასა და ხელშეწყობას, რომელიც წარმოადგენს ეფექტური დაგეგმვისა და პოლიტიკის ფორმულირების საფუძველს“.[6] იქვე ხაზგასმულია, რომ „ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში შეიქმნას მუდმივი შეფასებითი გამოკვლევის მექანიზმი, შეგროვდეს და გაანალიზდეს სათანადო მონაცემები და ინფორმაცია ადმინისტრირების შეფასების, მომავალში გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით“.[7]

საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს ხარისხის კონტროლის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხისთვის აუცილებელია, რომ ამ პროცესში ჩართული ყველა სპეციალისტი, მათ შორის, სამართალდამცავი და იურიდიული სამსახურების თანამშრომლები ტრენინგების საშუალებით გაეცნონ ზოგადად კონვენციის, კონკრეტულად კი, მისი იმ ნაწილის შინაარსსა და დებულებების მნიშვნელობას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მათ ყოველდღიურ პრაქტიკასთან. ტრენინგები უნდა ჩატარდეს სისტემატურად და უწყვეტად, ხოლო ინფორმაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დებულებებით“[8].

სასამართლო პროცესების მონიტორინგი წარმოადგენს გზას სახელმწიფოს, სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რათა ხელი შეუწყონ სამართლიანი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას, მის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. მონიტორინგის განმახორციელებელი პროგრამები წარმოადგენს შესაძლებლობას შეგროვდეს ინფორმაცია კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, შემდეგ კი დასკვნები განზოგადდეს სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შეფასების მიზნით.[9]

მართლმსაჯულების პროცესში ბრალდებულ და მოწმე/დაზარალებული ბავშვების მონაწილოების საკითხს ეხება როგორც ევროსაბჭოს და ევროკავშირის, ასევე გაეროს მიერ შემუშავებული სხვადასხვა სახის საერთაშორისო დოკუმენტები. ამავე საკითხებს ასევე ეხება ადგილობრივი კანონმდებლობა.

ადგილობრივი კანონმდებლობა, პრინციპებისა და ძირითადი დებულებების დონეზე სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, კვლევის შედეგად იკვეთება ხარვეზები სხვადასხვა სახის რეგულაციებთან დაკავშირებით, რაც ახდენს გავლენას სასამართლო პროცესების სწორად წარმართვაზე. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული უფლებები და

[6] იქვე, წესი 30.1.
[7] იქვე, წესი 30.3.
[8] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.97.
[9] Trial Monitoring, A Reference Manual For Practitioners, OSCE/ODIHR, 2012.

ძირითადი პრინციპები, რომლის გათვალისწინებაც უნდა მოხდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ბავშვების მიმართ. საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად მნიშვნელოვანია ადგილობრივი კანონმდებლობის მიმოხილვაც და ამის შემდომ უკვე თემატურად მონიტორინგის შედეგების წარმოდგენა.

სანამ ამ საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, ხაზი უნდა გაესვას იმ მთავარ პრინციპებს, რომელსაც განსაზღვრავს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია. კონვენციის თანახმად, „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.“[10] აღნიშნული კონვენცია ასევე ადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის საპროცესო გარანტიებს მართლმსაჯულების სფეროში.[11] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ბავშვის პიროვნული, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობა.

სასამართლოს მონიტორინგის შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სახის სტრუქტურით: დისკრიმინაციის დაუშვებლობა; დაცვის უფლება; კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობა; თარჯიმნის მომსახურეობა; სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება; ინდივიდუალური შეფასების ანგარიში; კონფიდენციალობის დაცვა; ბავშვის მონაწილეობის უფლება და უფლება იყოს მოსმენილი; ბავშვზე მორგებული გარემო (ინფრასტრუქტურა); ბავშვების დაკითხვა სასამართლოში.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა

- **საერთაშორისო სტანდარტები**

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია დისკრიმინაციის დაუშვებლობა. კონვენციაში აღნიშნულია, რომ - „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად“.[12]

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

[10] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია მ.3 (1.).
[11] იქვე, მ.40.
[12] იქვე, მ.2.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად - აკრძალულია არასრულწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალიწინებული ნიშნით/ნიშნებით.

- **მონიტორინგის შედეგები**

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, როგორ კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე მოწმე-დაზარალებულ ბავშვებთან მიმართებაში, არ გამოკვეთილა დისკრიმინაციული დამოკიდებულება რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური უმცირესობების, ან/და სხვა ნიშნის მიხედვით. მონიტორინგისას სასამართლოს სხდომებს არ ესწრებოდნენ შშმ პირები, რის გამოც მათი ჩართულობის შეფასება ვერ განხორციელდა.

დაცვის უფლება

- **საერთაშორისო სტანდარტები**

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ბრალდებულ ბავშვს აქვს შესაბამისი იურიდიული დახმარების მიღების უფლება, საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.[13] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერ გადაწყვეტილების მიღებას უნდა ესწრებოდეს ადვოკატი.[14]

დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით, საერთაშორისო სტანდარტებში აღნიშნულია, რომ როდესაც დაზარალებულ ბავშვსა და კანონიერ წარმომადგენელს შორის არის ან შესაძლოა იყოს ინტერესთა კონფლიქტი, ბავშვის სახელით შესაძლოა წარსდგეს ადვოკატი.[15] გარდა ამისა, „ლანსაროტის კონვენციაში“ ხაზგასმულია, რომ თუ ეს შესაძლებელია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის უფასო იურიდიული დახმარება.[16]

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული უზრუნველყოფილი არიან უფასო იურიდიული დახმარებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს ამ არასრულწლოვნის მიერ აყვანილი ადვოკატი[17].

---

[13] იქვე, 40 (2) (ბ) (II)

[14] გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პარ. 52

[15] დირექტივა 2012/29/EU მუხლი 24(1)(გ).

[16] ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, “ლანსაროტის კონვენცია”, მუხლი 31 (3).

[17] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.15 (1).

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.[18] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განსაზღვრავს სისხლის სამართლის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მოწმე/დაზარალებულის უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობას გარკვეულ შემთხვევებში. კერძოდ, კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ „სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით, თუ იგი არის გადახდისუუნარო ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX, XX და XXII თავებითა და 144^1–144^3 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე“.[19] იქვე მითითებულია, რომ აღნიშნული სახის მხარდაჭერის მიზანია მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.[20]

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, როგორც არასრულწლოვანი ბრალდებული, ასევე მოწმე/დაზარალებული სარგებლობს აგრეთვე შემდეგი უფლებებით:

- მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლებით;
- თარჯიმნის მომსახურების უფასოდ მიღების უფლებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა ან/და მას არ შეუძლია ილაპარაკოს ამ ენაზე. არასრულწლოვანს უფლება აქვს, სასამართლო სხდომამდე ან საპროცესო მოქმედებამდე შეხვდეს თარჯიმანს, რათა დადგინდეს, ესმით თუ არა მათ ერთმანეთის. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი უფასოდ სარგებლობს აგრეთვე ყველა იმ მომსახურებით, რომლებიც მას საქმის გასაცნობად და სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის ესაჭიროება;[21]
- კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლებით;
- საკონსულო დახმარების მიღების უფლებით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.[22]

➢ მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, როგორც ბრალდებული, ასევე მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნები უზრუნველყოფილი იყვნენ დაცვის უფლებით. არ გამოვლენილა შემთხვევები, როდესაც ბავშვებს ხელი ეშლებოდათ აღნიშნული უფლების რეალიზაციაში. ეს ეხებოდა იმ შემთხვევებსაც, როდესაც დამცველის დანიშვნა სავალდებული წესით არ განხორციელებულა (მოწმე/დაზარალებულებს). მიუხედავად იმისა, რომ პროცესში მონაწილე ადვოკატები, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, სპეციალიზირებული

[18] იქვე მ.22.
[19] იქვე, მ.15 (1).
[20] იქვე, მ.23.
[21] იქვე, მ.30.
[22] იქვე, მ.15.

იყვნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, გამოიკვეთა რომ მათი ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა, როგორ ადგილობრივი კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, გამოიკვეთა ორი შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიიღო ორმა ადვოკატმა, რომელსაც არ ქონდა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. ასეთი სახის ხარვეზები, ქმნის რისკებს დაცვის უფლების ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ზიანდება მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ბავშვების ინტერესები. ამ საკითხთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაცია და კონკრეტული მაგალითები, წარმოდგენილი არის ქვევით, სპეციალიზაციის ნაწილში.

კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობა

- **საერთაშორისო სტანდარტები**

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ბრალდებული/მსჯავრდებული ბავშვის დაკითხვის პროცედურას უნდა ესწრებოდეს მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი.[23] დაზარალებულ ბავშვებთან მიმართებაში, საერთაშორისო სტანდარტებში აღნიშნულია, რომ ბავშვის გამოკითხვა არ უნდა მოხდეს მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: სავარაუდო მოძალადე თავად მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელია; თუ ბავშვს არ სურს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხლება; სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის დასწრება არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში.[24]

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საპროცესო მოქმედების განხორციელებას, უნდა ესწრებოდეს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი.[25] კანონმდებლობა, ასევე ითვალისწინებს სამართალწარმოების პროცესში საპროცესო წარმომადგენლის (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი) მონაწილეობის შესაძლებლობას, იმ შემთხვევებში როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო, კანონიერი წარმომადგენელის ჩართვა ამ პროცესში ვერ ხერხდება. კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიმართვის საფუძველზე განსაზღვრავს საპროცესო წარმომადგენლად თავის თანამშრომელს ან სხვა სანდო პირს, თუ:

[23] გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პარ. 53
[24] UNODC/UNICEF (2009) მოდელური კანონი, მუხლი 20 (5.)
[25] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.52 (9).

- პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია;
- არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან პროცესში მის მონაწილეობაზე;
- კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს;
- არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია ან თვითმხილველია;
- კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული;
- კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.[26]

დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში. სხვა სანდო პირი საპროცესო წარმომადგენლად ინიშნება არასრულწლოვნის მოსაზრების გათვალისწინებით. საპროცესო წარმომადგენელი უფლებამოსილია:

- პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვნის საჭიროებების შესახებ;
- ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვნის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან;
- არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ;
- არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საპროცესო სტატუსის, მის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის, ხანგრძლივობისა და ფორმის, აგრეთვე დაკითხვის ჩატარების წესის შესახებ;
- არასრულწლოვანს აცნობოს სასამართლო მოსმენის დრო და ადგილი, აგრეთვე სხვა შესაბამისი მოქმედებების ჩატარების და დაცვის ხელმისაწვდომი ღონისძიებების შესახებ;
- არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ გამოტანილი საპროცესო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ;
- არასრულწლოვნის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმედებები.[27]

[26] იქვე, მ.50 (1).
[27] იქვე, მ.50.

სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:

- იცოდეს ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალდების არსი;
- იცოდეს არასრულწლოვან მოწმესა და ბრალდებულს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ; მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის დაწესებულების/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება.[28]

საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანი მოწმის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

კანონიერ წარმომადგენლის ჩართულობასთან დაკავშირებით, ადგილობრივი კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ კუთხით ხარვეზები იკვეთება პრაქტიკაში, რომელიც ძირითადად დაკავშირებული კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობასთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის პროცესში.

- **მონიტორინგის შედეგები**

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, როგორც ბრალდებულის, ასევე მოწმის/დაზარალებულის კანონიერი ან საპროცესო წარმომადგენლები ყოველთვის ესწრებოდნენ სასამართლო სხდომას. კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლები, სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას, უმეტეს შემთხვევაში ისხდნენ დამსწრეებისათვის განკუთვნილ ადგილზე და არა უშუალოდ ბავშვის გვერდით. აქედან გამომდინარე, მათი ჩართულობა სასამართლო სხდომებისას ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი.

სასამართლო განხილვისას, ბავშვს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაესაუბროს, კონსულტაცია გაიაროს, არა მარტო ადვოკატთან, არამედ კანონიერ/საპროცესო წარმომადგენელთან, როგორც ამას ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი კანონმდებლობა. დღეს არსებული პრაქტიკით, სასამართლო განხილვისას ბავშვს არ აქვს შესაძლებლობა, მყისიერად გაესაუბროს კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელს, თუკი ამის საჭიროებას დაინახავს უშუალოდ ბავშვი ან მისი წარმომადგენელი. სასამართლოს განხილვისას ჩამოყალიბებული ასეთი სახის პრაქტიკა, ფაქტობრივად შინაარსს აცლის კანონმდებლობაში არსებულ ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც

[28] იქვე, მ.23.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის აქტიური სასამართლო განხილვის პროცესში.

თარჯიმნის მომსახურეობა

- **საერთაშორისო სტანდარტები**

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, თუ ბავშვმა არ იცის ან არ ესმის სამართალწარმოების ენა, სახელმწიფომ უფასოდ უნდა უზრუნველყოს მისთვის თარჯიმნის მომსახურეობა. თარჯიმანი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ბავშვის დაკითხვასა და გამოკითხვას, მათ შორის პოლიციაში და სასამართლოზე.[29]

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ბავშვებს, მათი სტატუსის მიუხედავად, აქვთ თარჯიმნის მომსახურეობის უფასოდ მიღების უფლება.[30] ამ კუთხით, ადგილობრივი კანონმდებლობა ნაწილობრივ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან. კანონმდებლობა ითვალისწინებს თარჯიმნის თარჯიმნის ჩართულობის შესაძლებლობას, თუმცა არ არის ჩამოყალიბებული, მათი სპეციალიზაციის და ხარისხის კონტროლის სისტემა.

- **მონიტორინგის შედეგები**

ბავშვების ინფორმირება და მათი მონაწილოების უზრუნველყოფა სასამართლო განხილვის პროცესში, ბავშვზე მორგებული გარემოს შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, ის ბავშვები ან მათი კანონიერი წარმომადგენლები, რომლებმაც არ იციან სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის მომსახურებით. ბავშვებთან მიმართებაში, თარჯიმნის მოვალეობას არ წარმოადგენს მხოლოდ ტექსტის თარგმნა, მისი მოვალეობაა, ბავშვს ინფორმაცია მიაწოდოს მისთვის გასაგები ენით, ფორმით და იმ ენაზე, რომელიც ბავშვმა იცის.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, იყო 5 შემთხვევა, როდესაც გამოიკვეთა თარჯიმნის ჩართვის საჭიროება სასამართლო განხილვის პროცესში. 4 შემთხვევაში, თარჯიმანი მოწვეული იყო კანონიერი წარმომადგენლისთვის, ხოლო 1 შემთხვევაში დაზარალებული ბავშვისთვის. თუმცა ამ მცირე შემთხვევებშიც კი გამოიკვეთა, რომ თარჯიმანი ზოგ შემთხვევაში სწრაფად თარგმნიდა ტექსტებს ან თარგმნიდა ძალიან მოკლედ, რამაც გააჩნია ეჭვები თარჯიმნების კვალიფიკაციასთან, გულისხმიერებასთან ან

[29] გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 40 (2)(ბ)(VI) / დირექტივა 2012/29/EU მუხლი 15 (2).
[30] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 15.

კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს თარჯიმნების სპეციალიზაციის, კვალიფიკაციის შეფასების მექანიზმი, რამაც შესაძლოა დააზღვიოს ეს რისკები.

სპეციალიზირებული პირების ჩართულობა

- **საერთაშორისო სტანდარტები**

საერთაშორისო სტანდარტებში არსებული დებულებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განცალკევებული სისტემის შექმნისა და ამ სისტემების შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტებისაკენ მოგვიწოდებს. საერთაშორისო ინსტრუმენტები ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ინტერდისციპლინურ ბუნებას და ამ პროცესში ჩართული ყველა ჯგუფის (პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები, და ა.შ.) სპეციალური გადამზადების რეკომენდაციას იძლევა.[31]

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ამ უფლებებისა და გარანტიების დაცვაში, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში ჩართულ სპეციალისტებსა და მოხელეებს. მათი ტრენინგები, უნდა მიმდინარეობდეს სისტემატურად და უწყვეტად. ეს ადამიანები ზედმიწევნით კარგად უნდა ერკვეოდნენ ბავშვის, განსაკუთრებით კი მოზარდის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გონებრივი და სოციალური განვითარების საკითხებში. აგრეთვე იმ ბავშვების სპეციალურ საჭიროებებში, რომლებიც, ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს მიეკუთვნებიან: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; იძულებით გადაადგილებული, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, დევნილი და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვები. ასევე ბავშვები, რომლებიც რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, ლინგვისტურ ან სხვა უმცირესობებს მიეკუთვნებიან. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ცალკე აღნიშნავს, რომ მცირერიცხოვნობის გამო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი გოგონები, ყურადღების მიღმა რჩებიან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ მათ სპეციფიკურ საჭიროებებს, რომელთა შორისაა განხორციელებული შესაძლო ძალადობა ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები.[32]

გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტებში დაზარალებულ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებთან მიმართებაში აღნიშნულია, რომ შესაბამისმა უწყებებმა უნდა იზრუნონ,

[31] უ.ვაიდკუნი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ბავშვთა უფლებები.

[32] გაეროს ბავშვთა უფლება კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.40; 97. / გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (“პეკინური წესები”), წესი 22.1.

რომ შესაბამის სპეციალისტებს ჰქონდეთ ცოდნა ბავშვებში სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნების ამოცნობისა და ეჭვების შეტყობინების შესახებ.[33]

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციის საკითხს, სადაც განსაზღვრულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სპეციალიზირებული პირები.[34] სპეციალიზაციის ვალდებულება სხვადასხვა პროფესიონალების გარდა (მოსამართლე[35], პროკურორი[36], გამომძიებელი[37], პოლიციელი[38], ადვოკატი[39], სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, მოწმის და დაზარალებული კოორდინატორი, პენიტენციური სისტემის პერსონალი[40]) განსაზღვრულია ასევე მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებისთვისაც.[41]

ადგილობრივი კანონმდებლობით, საქართველოს მთავრობას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მოსამართლეებთან მიმართებაში) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას (ადვოკატებთან მიმართებაში) დაევალა სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცება.[42] მოსამართლეებთან და ადვოკატებთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული უწყებების მიერ არის შემუშავებული შესაბამისი გადამზადების სისტემა. ხოლო საქართველოს მთავრობის N668 დადგენილებით, განსაზღვრულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული სხვა სუბიექტების სპეციალიზაციის სტანდარტი და გადამზადებაზე პასუხისმგებელი უწყებები კერძოდ:

- საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში ჩართული პროკურატურის სისტემის გამომძიებლებისა და პროკურორების გადამზადებას;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში ჩართული გამომძიებლებისა და პოლიციელების გადამზადებას;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართული საქართველოს

[33] ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 5, 31 (1.გ) / ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 40
[34] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.21 (1).
[35] იქვე, მ.17.
[36] იქვე, მ.18.
[37] იქვე, მ.18.
[38] იქვე, მ.19
[39] იქვე, მ.20.
[40] იქვე, მ.21.
[41] იქვე, მ.21.
[42] იქვე, მ.101.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს[43] სისტემის გამომძიებლების, სოციალური მუშაკების, პრობაციის ოფიცრების, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და პენიტენციური დაწესებულების პერსონალის გადამზადებას;

- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიატორებისა და სოციალური მუშაკების გადამზადებას.[44]

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების (საპროცესო წარმომადგენელების) სპეციალიზაციის ვალდებულებას, ამ ეტაპზე, კანონმდებლობის დონეზე, არ არის განსაზღვრული ის უწყება, ვინც უნდა გადაამზადოს ფსიქოლოგები/სოციალური მუშაკები. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის რეგულირებასთან დაკავშირებით, ადგილობრივი კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

- **მონიტორინგის შედეგები**

სასამართლო განხილვის პროცესში ჩართული სუბიექტების კვალიფიკაციის შეფასებისას, მნიშვნელოვანი არის გამოიყოს ორი საკითხი: პირველი, ეს არის კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალიცაზიის ხარისხი (აქვს თუ ფორმალურად გავლილი გადამზადება და შესაბამისი სერთიფიკატი) და მეორე, მონაწილე მხარეების პრაქტიკული უნარები, რომელიც გამოიკვეთა სასამართლო მონიტორინგის განხორციელების პროცესში. ამ პროცესში შეფასდა 10 მოსამართლე, 19 პროკურორი, 38 ადვოკატი (10 კერძო, 28 უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის), 5 საპროცესო წარმომადგენელი, 2 ფსიქოლოგი.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგის შედეგები არ იძლევა საშუალებას მხოლოდ ერთმნიშვნელოვნად (დადებითად ან უარყოფითად) შეფასდეს ამ სუბიექტების კვალიფიკაცია. არის შემთხვევები, როდესაც ეს პირები ამჟღავნებდნენ შესაბამის ცოდნას და მათი გადაწყვეტილებები იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული, თუმცა იყო შემთხვევები პირიქით, ეს სუბიექტები არ მოქმედებდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

მოსამართლეები

მონიტორინგის განხორციელების პროცესში ჩართული ყველა მოსამართლე, ვისი საქმიანობის შეფასებაც განხორციელდა, სპეციალიზირებული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუმცა,

[43] ამჟამად იუსტიციის სამინისტრო.

[44] საქართველოს მთავრობის დადგენილება №668, მ.3.

მოსამართლეები ამჟღავნებდნენ განსხვავებულ უნარებს ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

მონიტორინგისას, გამოიკვეთა ძალიან კარგი მაგალითები, როდესაც მოსამართლე მოქმედებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, ერთ-ერთი საქმეზე, სადაც იხილებოდა აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობის) გადახედვის საკითხი, პროკურორი ითხოვდა ბავშვის პატიმრობაში დატოვებას შემდეგი გარემოებების გამო - პირს ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადენაში; არის ახალი დანაშაულის ჩადენისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე; არ გამოკვეთილა ახალი ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი გახდებოდა.

მოსამართლის პოზიცია იყო შემდეგი: *„ზოგადად აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძველს წარმოადგენს ის საფუძვლები, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია დასახელებული, როგორიცაა, მიმალვის, ახალი დანაშაულის ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის არსებობა. როდესაც სასამართლო აღნიშნულ საფრთხეებს აფასებს, ეს არასდროს არ ხდება მტკიცებით ფორმაში, რომ არასრულწლოვანი აუცილებლად ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ან ზემოქმედებას მოახდენს მოწმეებზე ან მიიმალება. ეს მაინც ვარაუდის სტანდარტით ფასდება. სასამართლოს მიაჩნია, რომ სხვა ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების შერჩევისასაც ეს საფრთხეები უნდა არსებობდეს. მაგრამ როდესაც სასამართლო განიხილავს აუცილებელია თუ არა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულის სათანადო ქცევა საბოლოო განაჩენის დადგენამდე და აღკვეთის ღონისძიების მიზნები იყოს მიღწეული, მნიშვნელოვანია და შესაფასებელია, შეიძლება თუ არა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებითაც მიღწეული იყოს ეს მიზნები. ... რაც შეეხება ახალი გარემოების გამოვლენის საკითხს სასამართლო ბრალდების მხარის აღნიშნულ პოზიციას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადასინჯვისას უპირობოდ არ აპელირებს ახალი არსებითი გარემოების არსებობის საკითხზე და ამ შემთხვევაში სასამართლო ყოველ ჯერზე აფასებს მას შემდეგ, რაც მოხდა ბრალდებულის დაკავება, მისთვის პატიმრობის შეფარდება, შემდეგ გადასინჯვა, ძალაში დატოვება, ამ დროის განმავლობაში როგორ განვითარდა მოვლენები და რა რეალობაც არსებობს ამ ეტაპზე, კვლავ აუცილებლობას წარმოადგენს თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ... რაც შეეხება მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეს, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს საფრთხე თეორიულად ყოველთვის არსებობს და იმ შემთხვევაში თუ ამას ძალიან მოინდომებს ადამიანი, არასრულწლოვნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პირობებშიც არის გარკვეული შესაძლებლობა სხვა ადამიანების დახმარებით გავლენა იქონიო პროცესის მონაწილეებზე. ხოლო მიმალვის საფრთხეს რაც შეეხება, ესეთი საფრთხეც არსებობს, რა თქმა უნდა, თეორიულად. მაგრამ ის გარემოებები, რაზეც ისაუბრა ასევე დაცვის მხარემ, რომ ჯერ მოწმის სახით მოხდა არასრულწლოვნის დაკითხვა და შემდეგ მოხდა მისი დაკავება, გარკვეულწილად აბათილებს ამ გარემოებებს“.* ამ

საკითხთან დაკავშირებით, მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა, შეუცვალა 5000 ლარიანი გირაოთი.

აღნიშნული შემთხვევა, წარმოადგენს კარგ მაგალითს, თუ რას ნიშნავს ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მორგებული მიდგომა და როგორ უნდა ხდებოდეს არსებული ნორმების განმარტება. სამწუხაროდ, სხვა დანარჩენ შემთხვევებში, სადაც იხილებოდა აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის - შეცვლის საკითხი, სხვა მოსამართლეების მსჯელობა იყო აბსოლუტურად განსხვავებული, შაბლონური (მაგ. არ გამოკვეთილა ახალი გარემოებები; არის ბრალდებულის მიმალვის და მოწმეებზე ზემოქმედების „აბსტრაქტული“ საფრთხე და ა.შ).

მონიტორინგის პროცესში, იყო ასევე შემთხვევა, როდესაც - *სანამ მხარეები წარმოადგენდნენ შესავალ სიტყვებს, მოსამართლემ ორივე მხარეს მოუწოდა, შესავალი სიტყვები მოკლედ ეთქვათ, რადგანაც პროცესი ისედაც დაგვიანებით დაიწყო და 12 საათზე სხვა პროცესი უნდა დაწყებულიყო. ეს დამოკიდებულება* ვერ ჩაითლება ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მორგებულ გადაწყვეტილებად.

მონიტორინგის შედეგად, ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მოსამართლე პროაქტიულად არ ახდენდა ბავშვის ჩართვას სასამართლო პროცესში (იხ. დეტალურად შემდეგ თავებში: „ბავშვის მონაწილოების უფლება და უფლება იყოს მოსმენილი“ და „ბავშვის დაკითხვა სასამართლოში“).

პროკურორები

სასამართლო მონიტორინგის განხორციელების პროცესში ჩართული ყველა პროკურორი, ვისი საქმიანობის შეფასებაც განხორციელდა, სპეციალიზირებული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. რაც შეეხება მათ პრაქტიკულ უნარებს, ამ შემთხვევაშიც გამოიკვეთა არაერთგვაროვანი მიდგომები.

ზოგ შემთხვევებში, პროკურორები მოქმედებდნენ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო ზოგ შემთხვევებში მათი გადაწყვეტილებები არ ეფუძნებოდა ამ პრინციპს. მაგალითად, ერთ-ერთი საქმის განხილვისას, აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობის) ძალაში დატოვების დასასაბუთებლად, პროკურორმა მიუთითა ბრალდებული არასრულწლოვნის ნასამართლობაზე, რომელიც უკვე გაქარწყლებული იყო. ნასამართლობის გაქარწყლების არსი მდგომაროებს იმაში, რომ ეს ფაქტორები მხედველობაში აღარ უნდა მიიღებოდეს გადაწყვეტილების მიღებისას. ნასამართლობის გაქარწყლებისას, პირი ითვლება ნასამართლობის არმქონედ და ამ პოზიციიდან უნდა მიიღებოდეს გადაწყვეტილებები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პროკურორის შუამდგომლობა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ პრინციპებს.

ასევე, მონიტონგის შედეგად, იყო შემთხვევა, სადაც პროკურორი ადვოკატის შუამდგომლობის პასუხად, რომელიც ეხებოდა განრიდების მიზნით სასამართლოდან საქმის პროკურორისთვის დაბრუნებას, გააკეთა შემდეგი შინაარსის განმარტება, რითაც არ

ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას - „საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იმდენად მომრავლდა, რომ სამწუხაროდ ყველგან ვამბობ და აქაც აღვნიშნავ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ხელი შეუწყო ამ ყოველივეს, ის აღმოჩნდა წამქეზებელი ამ დანაშაულების ჩადენის“. პროკურორის მხრიდან, ასეთი სახის შეფასება, არ ეფუძნებოდა რაიმეს სახის მტკიცებულებებს (არ არსებობს რაიმე სახის კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით) და ზოგადად წინააღმდეგობაში მოდის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ზოგად სულისკვეთებასთან, სადაც განრიდება უნდა განიხილებოდეს, როგორ პრიორიტეტული მექანიზმი არასრულწლოვნებთან მიმართებაში.[45] ასევე, ნიშანდობლივია, რომ შუამდგომლობების დასაბუთებისას, მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოიკვეთა, როდესაც პროკურორმა მიუთითა საერთაშორისო სტანდარტებზე, რაც დამატებით აჩენს კითხვებს ამ მიმართებით.

ცხადია, ამ კონკრეტული შემთხვევების აღწერით არ ხდება ამ პრობლემის განზოგადება, თუმცა ინდივიდუალური შემთხვევებიც საკმარისია ნეგატიური სიგნალების დასაიდენტიფიცირებლად. თუმცა მონიტორინგისას, გამოიკვეთა შემთხვევები, როცა პროკურორები გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ავლენდნენ შესაბამის უნარებს და სადაც იკვეთებოდა მათი სპეციალიზაციის დამაკმაყოფილებელი ხარისხი.

ადვოკატები

სასამართლო მონიტორინგის განხორციელების პროცესში ჩართული ადვოკატის უმრავლესობა ვისი საქმიანობის შეფასებაც განხორციელდა (10 კერძო, 28 იურიდიული დახმარების სამსახურის), სპეციალიზირებული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუმცა, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა მონაწილეობით ჩატარებულ სასამართლო განხილვებში მაინც მიიღო ორმა ისეთმა ადვოკატმა (კერძო) მონაწილეობა, რომლებიც არ იყვნენ სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .

ადვოკატების პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც გამოიკვეთა არაერთგვაროვანი მიდგომები. ზოგ შემთხვევებში, ადვოკატები ამჟღავნებდნენ ცოდნას მართლმსაჯულების სფეროში ბავშვთა დაცვის ზოგად სტანდარტებთან დაკავშირებით, ხოლო ზოგ შემთხვევაში პირიქით, მათი პრაქტიკული უნარები არ შეესაბამებოდა იმ მოთხოვნებს, რაც დადგენილია ადგილობრივი კანონმდებლობით.

მონიტორინგის პროცესში, იყო ერთი მაგალითი, სადაც ადვოკატის (იურიდიული დახმარების სამსახურის) შუამდგომლობა განრიდების მიზნით საქმის პროკურორისთვის დაბრუნების თაობაზე, იყო ძალიან კარგად დასაბუთებული. შუამდგომლობაში ადვოკატმა საკმაოდ დეტალურად მიუთითა ბავშვის ის დადებითი მხარეები, რაც ასახული იყო ინდივიდუალური

[45] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.38 (1,2).

შეფასების ანგარიშში. ასევე შუამდგომლობაში მიუთითებდა საერთაშორისო სტანდარტებს - „შუამდგომლობაში მოხმობილი მაქვს ბავშვთა უფლებების კონვენცია, პეკინის წესები, რომელიც დარწმუნებული ვარ სასამართლოსთვის ცნობილია, უბრალოდ მოკლედ რომ აღვნიშნო, ყველა ეს საერთაშორისო დოკუმენტი, მსგავსად ქართული კანონმდებლობისა უპირატესობას ანიჭებენ პირველ რიგში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას და ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას". გარდა ამისა, დასაბუთებაში აღნიშნული იყო კრიმინოლოგიური კვლევები, რაც შუამდგომლობას უფრო მეტად დასაბუთებულს ხდიდა - „შუამდგომლობაში მოხმობილი მყავს კრიმინოლოგიური კვლევა, რომლის ავტორია პროფესორი მორის შალიკაშვილი, რომელიც არასრულწლოვანთა დანაშაულებრიობაზე საუბრობს, რომ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არასრულწლოვანთა დანაშაული მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნაკლები ეკონომიკური ზარალისა და საშიშროების მქონე დანაშაულად. იგი ნორმალური მოვლენაა, გავრცელებულია საზოგადოების ყველა ფენაში და ახასიათებს ეპიზოდურობა". მოსამართლემ დააკმაყოფილა ადვოკატის ეს შუამდგომლობა და საქმე განრიდების მიზნით დაუბრუნა პროკურორს. აღნიშნული მაგალითი აჩვენებს ადვოკატის საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციას და უნარებს, რაც მისასალმებელია.

ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით, დაცვის მხარის პოზიცია იყო სუსტი და ნაკლებ ინფორმატიული. ადვოკატმა ითხოვა, რომ პატიმრობა არ გამოყენებულიყო და არასრულწლოვნის მიმართ უფრო მსუბუქი საშუალება შეეფარდებინა პირობითი მსჯავრის სახით. ადვოკატმა საკმაოდ უცნაური დასაბუთება მოიყვანა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში მითითებულ არასრულწლოვნის ინტერესზე ცეცხლსასროლი და ცივი იარაღების მიმართ: *„ცეცხლსასროლი იარაღის სიყვარული ყველას აქვს. გიორგი რომ მიაღწევს ასაკს და მერე მოახერხებს გაიფორმოს იარაღი, ექნება სახლში, დაათვალიერებს და შეინახავს და ამ გზით დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. პროკურორი ამბობს, რომ დანაშაული ძალადობრივიაო, მაგრამ კანონმდებლობაში აკრძალვა არ გვაქვს, რომ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულისთვის გამოყენებული იყოს პირობითი მსჯავრი. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში არც ოჯახური პირობები, არც წარსული არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მაინც და მაინც იყოს მის მიმართ გამოყენებული პატიმრობა".*

მონიტორინგის პროცესში, ასევე გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც ადვოკატის შუამდგომლობა ფაქტიურად იყო დაუსაბუთებელი და იყო ჩამოყალიბებული ასეთი ფორმით - „ვინაიდან გავეცანით არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, ჩემი აზრით არასრულწლოვანი ბრალდებული x ექვემდებარება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, ვიდრე დასჯას, შესაბამისად, სასამართლოს ვთხოვ, რომ მის მიმართ გამოიყენოს განრიდების ღონისძიება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე." ამ შემთხვევაში, დაცვის მხარის მხრიდან, არ იყო მოყვანილი მაგალითები, ის ძლიერი მხარეები (თუკი, ასეთი არსებობდა), რაზე დაყრდნობითაც აყენებდა ამ შუამდგომლობას.

როგორც, პროკურორების შემთხვევაში, ადვოკატებთან მიმართებაშიც შუამდგომლობების დასაბუთებისას, მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოიკვეთა, როდესაც ადვოკატმა მიუთითა საერთაშორისო სტანდარტებზე (ზემოთ წარმოდგენილი მაგალითი), რაც დამატებით აჩენს კითხვებს კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. რაიმე სახის არსებითი განსხვავება, კერძო და იურიდიული დახმარების ადვოკატების უნარების მხრივ, მონიტორინგის განხორციელების პროცესში არ გამოკვეთილა. თუმცა იყო ორი საყურადღებო შემთხვევა, სადაც სასამართლო განხილვის პროცესში მონაწილოება მიიღეს იმ კერძო ადვოკატებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით.

საპროცესო წარმომადგენლები/ფსიქოლოგები

საპროცესო წარმომადგენლების (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანების სოციალური მუშაკების) და ფსიქოლოგების სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზია. მიუხედავად იმისა, რომ მათი სპეციალიზაცია სავალდებულოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არ არის განსაზღვრული ის უწყება, ვინც უნდა იყოს პასუხისმგებელი ამ პირების გადამზადებაზე. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ ხდება მოსამართლეების მხრიდან ამ პირების სპეციალიზაციის შეფასება, როცა არ არსებობს ის უწყება, ვინც ეს პირები უნდა გადაამზადოს და გასცეს შესაბამისი სერთიფიკატები.

რაც შეეხება ამ სუბიექტების პრაქტიკულ უნარებს, საპროცესო წარმომადგენლების შემთხვევაში, ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი მათი ჩართულობა სასამართლო განხილვის პროცესში (იხ. ზევით კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობის თავი), რის გამოც ვერ მოხერხდა მათი უნარების შეფასება.

რაც შეეხება ფსიქოლოგებს, მონიტორინგის განხორციელების პროცესში, სულ იყო 2 შემთხვევა, როდესაც ბავშვის დაკითხვის პროცესში მონაწილეობდა ფსიქოლოგი, რაც არ იძლევა ამ საკითხის სიღრმისეულად შეფასების შესაძლებლობას.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა იყოს კანონმდებლობაში არსებული საკმაოდ ზოგადი ჩანაწერი. ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხსაც. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლის ინიციატივით, უზრუნველყოფილია საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობაც. ასევე, განსაზღვრულია ფსიქოლოგის როლი ამ პროცესში - „ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას“.[46]

კანონმდებლობაში ჩამოყალიბებული ზოგადი ნორმები ფსიქოლოგის ჩართულობასთან დაკავშირებით ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, საკმაოდ

[46] იქვე, მ.23

ბუნდოვანია თუ რა იგულისხმება რეალურად არასრულწლოვნის საჭიროებების შეფასების და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ქვეშ. არ არის გამოკვეთილი რეალურად რა არის ფსიქოლოგების როლი ამ პროცესში. გარდა ამისა, კანონდებლობით არ არის განსაზღვრული თუ რა შემთხვევაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლემ ფსიქოლოგის ჩართვის თაობაზე. აღნიშნული წარმოადგენს მის საკმაოდ ფართი დისკრეციულ უფლებამოსილებას, რის ქმნის არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების რისკს. [47]

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები, შესაძლოა იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მონიტორინგისას ფსიქოლოგების მონაწილოების შემთხვევები სასამართლო განხილვის პროცესში იყო საკმაოდ მცირე. თუმცა მიუხედავად ფსიქოლოგების საკმაოდ დაბალი ჩართულობისა, საინტერესოა მიმოვიხილოთ ის მცირე შემთხვევებიც, სადაც ფსიქოლოგების მონაწილოება გამოიკვეთა. ერთ-ერთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში ხორციელდებოდა დაზარალებული არასრულწლოვნის დაკითხვა, ფსიქოლოგი აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში. მაგალითად: *„გაცნობით ეტაპზეც, როცა მოსამართლე ცდილობდა რაიმე სასიამოვნოზე ესაუბრა ბავშვთან და დაიწყო საჩუქრებზე საუბარი, რა უყვარდა და რა უხაროდა ხოლმე, ფსიქოლოგიც ჩაერთო და საპრანჭავები უყვარს კიდევო. ბავშვიც დაეთანხმა. სხდომის მიმდინარეობისას ბავშვმა მოითხოვა წაეკითხათ მის მიერ გამომძიებელთან მიცემული ჩვენება. სასქესო ორგანოს მიდებაზე და შემდგომ მოქმედებებზე ეკითხებოდა პროკურორი. ორჯერ კითხა და გაიმეორა თან პროკურორმა. მეორედ რომ იგივე კითხა, ბავშვს ოდნავ გაღიზიანება თუ მობეზრება დაეტყო და არ ვიციო მეორედ თქვა. პირველ ჯერზე როცა კითხეს, გაიხსენა და მოყვა, რომ X უკანაც მიადო და წინაც სასქესო ორგანო. იგივე რომ გაიმეორა პროკურორმა და ისევ კითხა, აი მაშინ უპასუხა რომ არ ვიციო. ამის შემდეგ ბავშვმა მოითხოვა წაიკითხეთ ჩემი ჩვენებაო. მოსამართლემ მიმართა საპროცესო წარმომადგენელს და ადვოკატს. დაეთანხმნენ, რახან ბავშვს უნდაო... მოსამართლე ყოყმანობდა. არ უნდოდა გამოქვეყნება. ფსიქოლოგი აქ ჩაერთო აქტიურად და თქვა, რომ ბავშვმა უკვე აღწერა მომხდარი და ვფიქრობ, აღარ არის საჭირო გამოქვეყნება და წაკითხვაო ჩვენების. მოსამართლეც დათანხმდა. პროცესის მიმდინარეობისას რეპლიკებს გამოთქვამდა ხოლმე ფსიქოლოგი ან რიგ შემთხვევებში ეხმარებოდა ბავშვს გაგებაში. ასევე, როცა საპირფარეშოში გასვლა და წყალი მოითხოვა ბავშვმა, მაშინაც ბავშვზე მზრუნველობა გამოხატა".*

მიუხედავად, იმისა რომ კანონმდებლობით, არ არის განსაზღვრული რა როლი უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგს სასამართლო განხილვის პროცესში ან როგორ უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება მისი ჩართვის თაობაზე, ამ ერთი მაგალითიდანაც ჩანს, ფსიქოლოგის პოზიტიური როლი, რომელიც ცდილობს ბავშვის დაზღვევას სხვადასხვა სახის რისკებისგან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადაიდგას ნაბიჯები, სასამართლო განხილვის პროცესში, ფსიქოლოგების ჩართულობის საკითხი მოწესრიგების მიზნით.

[47] ხელმისაწვდომია ვე-გვერდზე: < https://www.rivg.ge/media/1001537/2020/01/20/4811c6652cd87c83c6ac059fca3697b5.pdf >

სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება

- **საერთაშორისო სტანდარტები**

საერთაშორისო სტანდარტები[48] მოითხოვს, რომ ინდივიდი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უნდა იქნეს წარდგენილი სასამართლოს წინაშე „გონივრული" ვადის განმავლობაში და შეფერხება თავიდან უნდა იქნეს აცილებული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი პრინციპია, რომ საქმის განხილვის დაყოვნება არ ხდებოდეს.

ზოგადად არ არსებობს სტანდარტული განმარტება იმისა, თუ რა წარმოადგენს დაყოვნებას, თუმცა მიღებულია, რომ „გონივრული" დაყოვნება ბავშვებთან მიმართებაში უფრო მოკლე ვადაა, ვიდრე ზრდასრულ ადამიანებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამ საკითხს პირდაპირი კავშირი აქვს, ისეთ მნიშვნელოვან პრინციპთან, როგორიც არის ბავშვის განვითარების უფლება.[49] ბავშვების ჰარმონიული განვითარება გულისხმობს, ბავშვების შესაძლებლობას ისარგებლონ ყველა იმ უფლებით, რაც გარანტირებული აქვთ კონვენციის დონეზე (განათლება, პროფესიული მომზადება, ფიზიკური განვითარება და ა.შ.). გაჭიანურებული პროცედურები კი, მიუხედავად იმისა, ბავშვს აქვს თუ არა აღკვეთილი თავისუფლება, მნიშვნელოვნად აფერხებს ამ უფლებების რეალიზებას.

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. სასამართლო ვალდებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე პრიორიტეტულად განიხილოს.[50]

კანონმდებლობა განსაზღვრავს, არასრულწლოვნების საქმეების გამოძიების და სასამართლო სხდომების განხილვის განსხვავებულ ვადებს. დანაშაულის 1 შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე არასრულწლოვანი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არაუმეტეს 6 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო ახალი ბრალდება არ წაუყენებიათ. არასრულწლოვნის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს ზეპირი მოსმენით, სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში. არასრულწლოვნის საქმეზე საკასაციო სასამართლოს

---

[48] ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 40(2)(ბ) (III)./ გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პუნტი 51,52,83./ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლი 14(3)(გ). /გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ("პეკინური წესები"), წესი 20.1./ ვენის სახელმძღვანელო პრინციპები, პუნქტი 23.

[49] გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 6.

[50] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.11

სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში. საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოაქვს საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 3 თვის ვადაში.[51]

- **მონიტორინგის შედეგები**

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს სრულწლოვნებისგან განსხვავებულ დროით ჩარჩოს არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ვადები მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, უნდა უზრუნველყოს საქმის ყოველგვარი დაყოვნების გარეშე განხილვა და არ უნდა ხდებოდეს ამ ვადის მაქსიმალურად გამოყენება, თუკი პროცესი და მისი სამუშაო დატვირთვა ამის შესაძლებლობას იძლევა.

სასამართლო განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ორი სახის პრობლემა: სასამართლო სხდომების გადადება და სასამართლო სხდომების დაგვიანებით დაწყება.

კვლევის პროცესში, მონიტორები სასამართლოში სხდომაზე დასწრების მიზნით 94 შემთხვევაში გამოცხადნენ სასამართლოში და აქედან მხოლოდ 49 შემთხვევაში შეძლეს სასამართლო სხდომებზე დასწრება. დაახლოებით 50%-ზე მეტ შემთხვევებში, მოხდა სასამართლო სხდომების გადადება. ამ მხრივ, განსაკუთრებული ხარვეზები გამოიკვეთა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მონიტორმა შეძლო მხოლოდ 4 პროცესზე დასწრება და 15 შემთხვევაში სასამართლო სხდომები გადაიდო. ასევე ხშირი იყო სხდომების გადადების მაჩვენებელი თბილისის საქალაქო სასამართლოშიც (გადაიდო 35 პროცესი). აქედან იყო ერთი საქმე, სადაც 5-ჯერ გადაიდო საქმის განხილვა. რუსთავის საქალაქო სასამართლოში, სასამართლოს სხდომების გადადების შემთხვევები არ ყოფილა. რაც შეეხება სასამართლოს სხდომების დაგვიანებით დაწყებას, 90% მეტ შემთხვევაში, სასამართლოს სხდომები დაიწყო დაგვიანებით (10, 15, 30 ან 40 წუთის დაგვიანებით).

როგორც სასამართლოს სხდომების გადადების, ასევე დაგვიანების მიზეზები არის განსხვავებული და პირდაპირ არ უკავშირდება მხოლოდ სასამართლოს საქმიანობას. მიზეზებს შორის გამოიკვეთა - მოსამართლის მოუცლელობა სხვა საქმის განხილვის გამო; სასამართლო სხდომის დარბაზების გადატვირთულობა; პროკურორის, ადვოკატის, საპროცესო/კანონიერი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით მოსვლა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადაიდგას ნაბიჯები აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც უკავშირდება სასამართლო გადატვირთულობის ზოგად პრობლემას; სასამართლოს განხილვის პროცესში ჩართულ პირთა კვალიფიკაციას და მათი საქმიანობის ხარისხის კონტროლს და სხვა.

[51] იქვე, მ.55.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშები

საერთაშორისო სტანდარტები

საერთაშორისო სტანდარტებში, როგორც ბრალდებულ, ასევე დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით[52] აღნიშნულია, რომ ბავშვების ინდივიდუალური შეფასება სისხლის სამართლებრივი პროცედურების აუცილებელი ნაწილი უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება განხორციელდეს რაც შეიძლება ადრე მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრისას.[53] ინდივიდუალური შეფასება ბავშვის ჩართულობით უნდა განხორციელდეს და მისი შეხედულებები ასახული უნდა იყოს ანგარიშში.[54] დაზარალებული ბავშვის შეფასების მიზანია მისი მეორადი ვიქტიმიზაციისაგან დაცვა და ამის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.[55]

ინდივიდუალური შეფასებისას უნდა მოხდეს პირის მახასიათებლების (როგორებიცაა ასაკი, სქესი, გენდერული იდენტობა, ეთნიკურობა, რასა, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა, მოქალაქეობა, კომუნიკაციური სირთულეები, მოძალადესთან დამოკიდებულება და ძალადობის გამოცდილება), დანაშაულის ტიპისა და გარემოებების (მაგალითად, იყო თუ არა სიძულვილით გამოწვეული ძალადობა, დისკრიმინაციით გამოწვეული ძალადობა, სექსუალური ძალადობა და ა.შ) გათვალისწინება.[56]

ადგილობრივი კანონმდებლობა

ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულია არასრულწლოვნებთან მიმართებაში ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების მომზადების წესი და პროცედურა კონკრეტულ შემთხვევებში. ასეთი სახის ანგარიშები მზადდება მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში:

- განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;
- სასჯელის დანიშვნისას;
- საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;
- არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;
- პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების

[52] დირექტივა 2016/800/EU; დირექტივა 2012/29/EU.
[53] დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(5,6); დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22.
[54] დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(7); დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22(6).
[55] დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22(1,4).
[56] დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22(2).

გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზეც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა. ანგარიშს ამზადებს პრობაციის ეროვნული სააგენტო (განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას; სასჯელის დანიშვნისას; არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას) და სპეციალური პენიტენციური სამსახური (საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას; პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას).

შესაბამისი ორგანო ინდივიდუალური შეფასების პროცესში შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.[57]

ადგილობრივი კანონმდებლობა, ამ ნაწილში სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და იძლევა ასეთი ანგარიშების მომზადების შესაძლებლობას სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე.

მონიტორინგის შედეგები

არასრულწლოვნების ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებს დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვნის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების კუთხით. ამ ანგარიშის მიზანია, მოსამართლეს მიეწოდოს ინფორმაცია ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური პორტრეტის შესახებ, რამაც უნდა მისცეს მას შესაძლებლობა სწორად გასაზღვროს სასჯელის ზომა და სახე. ეს დოკუმენტი, არ წარმოადგენს მტკიცებულებას და არის სარეკომენდაციო ხასიათი დოკუმენტი. ასეთი სახის ანგარიშები, შესაძლოა სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი იყოს სხვა მიზნითაც (მაგ. განრიდების გამოყენებასთან დაკავშირებით).

სასამართლოში ჩამოყალიბებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების დეტალური განხილვა სასამართლო სხდომაზე, როგორ წესი, არ ხორციელდება. ასეთი სახის ფაქტს, მონიტორები არ შესწრებიან, თუმცა კანონმდებლობით ეს აკრძალული არ არის. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მხარეებს, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშები წინასწარ ეგზავნებათ, რა დროსაც შეუძლიათ გაეცნონ მის შინაარს. მონიტორინგის პროცესში, იყო მხოლოდ 3 შემთხვევა, როდესაც სასამართლო განხილვის პროცესში, მხარეების მხრიდან მიმდინარეობდა ინდივიდუალური ანგარიშის შინაარსზე მსჯელობა. ამის მიზეზი, არის ფაქტი, რომ ასეთი სახის ანგარიშების მომზადება, როგორც წესი, ხდება არსებითი განხილვისას სასჯელის დანიშვნის ეტაპზე და ასეთ ბევრ სხდომას მონიტორები ვერ დაესწრნენ.

[57] იქვე, მ.27.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, გამოიკვეთა ორი შემთხვევა, როდესაც ადვოკატი შუამდგომლობის დასაბუთებისას აქტიურად იყენებდა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შინაარსს. კერძოდ, ერთ-ერთი ადვოკატმა შუამდგომლობის დასაბუთებისას ასეთი სახის მსჯელობა ჩამოყალიბდა- „ინდივიდუალური შეფასების მე-12 გვერდზე აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანი ინტერვიუს დროს გამოხატავდა კეთილგანწყობას სოციალური მუშაკის მიმართ და გამოხატავს მზადყოფნას ყველა პროგრამისათვის, რომელიც საჭირო იქნება განრიდების ფარგლებში. ანგარიშთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი ცალსახად დადებითია. დავიწყოთ X საცხოვრებელი ადგილის მიმოხილვით: სოციალური მუშაკის მიერ შემოწმდა საცხოვრებელი ადგილი და დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, იყო წესრიგი. ოჯახის წევრები არ იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში, არ მოიხმარენ ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს, არ არიან დამოკიდებულნი აზარტულ თამაშებზე, ასევე X არასდროს გამხდარა მშობლების მხრიდან ძალადობის ან უგულვებელყოფის მსხვერპლი, ოჯახის ნათესავების და მეზობლების სახით ძლიერი თანადგომის ქსელი ჰყავს X-ის. ანგარიშში ასვე აღნიშნული იყო, რომ არასრულწლოვანს ყოველთვის აქვს მათი მხარდაჭერის იმედი. მშობლებს შვილთან აქვთ ყოველდღიური ურთიერთობა, აკონტროლებენ დღის რეჟიმს, მომხდარი ფაქტის შესახებ აღნიშნავენ, რომ წარსულში მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა და ცდილობენ შვილს ჩაუნერგონ საზოგადოებისადმი მისაღები ნორმები, ამასთან, იჩენენ მზრუნველობასა და ყურადღებას, ცდილობენ ერთად მოაგვარონ არსებული პრობლემები. მშობლები უარყოფითად აფასებენ გიორგის ქმედებას, სამომავლოდ გამორიცხავენ მსგავსი ქმედების გამეორებას და დანაშაულს აფასებენ, როგორც გამოუცდელობით დაშვებულ შეცდომას. მშობლების თქმით მათ შესწევთ უნარები სამომავლოდ უფრო უკეთ განახორციელონ შვილზე ზედამხედველობა და აღარ მოხდეს მართსაწინააღმდეგო ქმედების განმეორება”.

ასევ იყო შემთხვევა სხვა ბრალდებულთან მიმართებაშიც, სადაც დასაბუთებისთვის ასევე იყო გამოყენებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შინაარსი, კერძოდ - „დადებითი იყო ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, არ გამოიკვეთა პრობლემები დადებითი კომუნიკაციის დამყარების კუთხით. უფრო ცხადად რომ მივუთითო, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის თანახმად, საცხოვრებელი ადგილი, სადაც X ცხოვრობს, წარმოადგენს ორსართულიან კერძო სახლს და ცხოვრობს დედასთან, მამასთან და უფროს დასთან ერთად. სახლი ახალი გარემონტებულია და არის ყველა საჭირო ავეჯი და ტექნიკა. მოზარდს აქვს საკუთრი საძინებელი და პერსონალური კომპიუტერი. ოჯახი მცირე ბიზნესით არის დაკავებული და მოჰყავთ მწვანილი. რაც შეხება X საქმიანობას, იგი ფეხბურთელია; იმდენად კარგად თამაშობს, რომ X სკოლაში ირიცხებოდა და უსახსრობის გამო ოჯახს მოუხდა მისი ქუთაისში დაბრუნება. ამჯერად კი X გუნდში ირიცხება. მოზარდი აღნიშნავს, რომ ფეხბურთი ძალიან მოსწონს და აქვს სურვილი დიდ წარმატებას მიაღწიოს ამ სფეროში. რაც შეეხება სოციალურ ქსელს, გამოიკვეთა, რომ მასაც ჰყავს მზრუნველი ოჯახი, რომელიც X-ს მხარდამჭერ რგოლს წარმოადგენს”.

ამ შემთხვევების გარდა, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ, მხოლოდ ახსენა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შინაარსი, კერძოდ - „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში მითითებული იყო, რომ ბრალდებულს აქვს გონებრივი განვითარების შეფერხება, რის გამოც არასრულწლოვნისგან ვერ მოხერხდა სრული ინფორმაციის მიღება“.

ზემოთ წარმოდგენილი შემთხვევები, არ იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების ხარისხი და ზოგადად მისი გამოყენების პრაქტიკა. თუმცა, ამ მაგალითების საფუძველზე, დადებითად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ ასეთი სახის ანგარიშები მზადდება და აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში.

კონფიდენციალობის დაცვა

- **საერთაშორისო სტანდარტები**

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ბავშვებს აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება მართლმსაჯულების სფეროში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია[58] განამტკიცებს ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემას საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა[59] დაადგინა, რომ „საქმის განხილვის ყველა სტადია“ იწყება სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდან ზედამხედველობიდან ან პატიმრობიდან გათავისუფლებამდე.

პირადი ცხოვრების პატივისცემის მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. საჯაროობის დაუშვებლობა მნიშვნელოვანია დაზარალებული და მოწმე ბავშვის იდენტობისა და პირადი ცხოვრების დასაცავად, რის გამოც მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ღონისძიებები, მაგალითად, ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის დროს სასამართლო სხდომის დახურვა.[60] გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის ჩვენება მოსმენილ იქნეს სასამართლო დარბაზში დაზარალებულის დაუსწრებლად.[61] სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა პირადი ცხოვრება, მათი ვინაობა და რეპუტაცია და უნდა მიიღონ ზომები რათა ხელი შეეშალოს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელმაც შეიძლება გააადვილოს მათი იდენტიფიცირება.[62]

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

---

58 გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მ.40, პ.7.

59 გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.64.

[60] ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 12 და 20/ დირექტივა 2012/20/EU, მუხლი 23(3).

[61] ლანსაროტის კონვენცია, 36 (2) (გამოყენებულია მასალა სახელმძღვანელოდან - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Defense for children, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი).

[62] ლანსაროტის კონვენცია, 36 (1,ე.).

ადგილობრივი კანონმდებლობა ხაზს უსვამს ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას. კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ „არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. კანონმდებლობაში ასევე ასახულია, რომ „დაუშვებელია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.[63]

ზუსტად აღნიშნული პრინციპის დაცვის მიზნით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ასახულია ნორმა, სასამართლო სხდომების დახურულ კარს მიღმა განხილვასთან დაკავშირებით - „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება“[64]. ხოლო მოწმე და დაზარალებული ბავშვების სასამართლოს სხდომის დახურვა წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას (არ არის სავალდებულო), რომელსაც იღებს სასამართლო პროკურორის ან ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე.[65]

ამ ნაწილში, კანონმდებლობა სრულიად არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან. ხარვეზები, ძირითადად იკვეთება პრაქტიკასთან მიმართებაში, რაც არის წარმოდგენილი ქვევით მონიტორინგის შედეგებში.

- **მონიტორინგის შედეგები**

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლო განხილვაში ჩართულ ბავშვთა კონფიდენციალობის დარღვევის რისკი ყველაზე მეტად უკავშირდება გაუმართავ ინფრასტრუქტურას. თბილისის, რუსთავის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს, არ გააჩნიათ ცალკე შესასვლელი და მოსაცდელი, ბრალდებული ან მოწმე/დაზარალებული ბავშვებისთვის. ყველა პირი (მხარეები, დამსწრეები და ა.შ.) სარგებლობს საერთო შესასვლელით და საერთო მოსაცდელით, სადაც თავისუფლად არის ბავშვებთან კომუნიკაციისა და მათი იდენტიფიცირების შესაძლებლობა. გამონაკლისს წარმოადგნენ ის ბრალდებული ბავშვები, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა. ისინი სარგებლობენ ცალკე შესასვლელით, რომელიც განკუთვნილია ზოგადად პატიმრებისთვის სასამართლოში (იხ. დეტალურად, ქვევით, ბავშვზე მორგებული გარემოს (ინფრასტრუქტურის) თავი).

სასამართლოების საერთო მოსაცდელებში, განთავსებულია მონიტორები, სადაც აღნიშნულია ინფორმაცია სასამართლოს სხდომების მიმდინარეობისა და მასში მონაწილე მხარეების შესახებ. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ მონიტორებზე ბრალდებულების

[63] იქვე, მ.13
[64] იქვე, მ.29 (1).
[65] იქვე, მ.24 (გ).

შესახებ ინფორმაცია, სახელი და გვარი მითითებული არ არის. როგორ წესი, მითითებული არის მხოლოდ სხდომის გამართვის დრო, მოსამართლის სახელი და გვარი, ფიფქები (*****) და ასევე სხდომის დარბაზის ნომერი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის სახელის და გვარის ადგილას ფიფქების მითითება ნათელს ხდის, რომ აღნიშნული წარმოადგენს არასრულწლოვნის პროცესს და დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება შეიხედოს სხდომის დარბაზის კარებში არსებული გამჭვირვალე შუშიდან და დააფიქსიროს დარბაზში არსებული არასრულწლოვანი (იხ. დეტალურად ქვევით). ამ კუთხით უნდა არსებობდეს დამატებითი დაცვის მექანიზმები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ სხდომები დახურულ კარს მიღმა იმართება და მონიტორებზეც არ არის აღნიშნული ბავშვების ვინაობა, სასამართლოს მანდატურმა რამოდენიმე შემთხვევაში (რასაც მონიტორების შეესწრნენ) არასრულწლოვანთა ბრალდებულების სახელი და გვარი საჯაროდ გამოაცხადეს, იმ მიზნით, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში დროულად გამოცხადებულიყვნენ. ეს ფაქტი, აშკარად მიუთითებს, რომ მანდატურების ნაწილს ან არ აქვს ან არასრულად აქვს მიწოდებული ინფორმაცია, რომ საქმის განხილვის პროცესში ჩართული ბავშვების იდენტიფიცირება არ მოახდინონ. ამ შემთხვევაში, ისინი მოქმედებდნენ ზოგადად დამკვიდრებული პრაქტიკის ფარგლებში, სადაც ბავშვების მიმართ განსახვავებული მიდგომები არ იკვეთება.

ბავშვის მონაწილეობის უფლება და უფლება იყოს მოსმენილი

- **საერთაშორისო სტანდარტები**

სასამართლოში გამოყენებული ენა რთულია და ძნელი გასაგებია რიგითი მოქალაქეებისთვის, უფრო მეტად ბავშვებისთვის. ამას თუ დაემატა ისიც, რომ შესაბამისი პროფესიონალები არ არიან მომზადებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით ან ზედმეტად ახლოს იცნობენ სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებს და არ არიან ბავშვის მიმართ მეგობრულად განწყობილი, შეიძლება ეს ფსიქოლოგიური შეზღუდვა აღმოჩნდეს აზრის თავისუფლად გამოხატვისათვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბავშვებს მიეწოდოთ ინფორმაცია, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათთვის გასაგები ენით და ფორმით.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარის შეხედულებების და აზრის გამოთქმის უფლება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მას ეხება[66]. ამ კუთხით, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მის ასაკსა და სიმწიფეს. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლი, ასევე ასახავს მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბავშვის მონაწილეობის უფლების, შემადგენელი ნაწილია ბავშვის უფლება, გადაწყვიტოს თუ როდის გამოთქვას აზრი და რა ფორმით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი ნათლად იყოს ასახული

[66] გაეროს ბავშვთა უფლება კონვენცია, მუხლი 12, 13.

კანონმდებლობაში. თუმცა, საკმარისი არ არის, სახელმწიფომ უბრალოდ გაითვალისწინოს კანონმდებლობაში, რომ ბავშვს აქვს უფლება, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვებს თავიანთი შეხედულებების გამოხატვა "თავისუფლად" შეეძლოთ იმ სიტუაციებში, რომელიც მათზე გავლენას ახდენს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვებს უნდა შეეძლოთ, გამოხატონ საკუთარი თავი ყოველგვარი ძალადობის, ზეწოლის, ზემოქმედების ან თავშეკავების გარეშე.

ბრალდებულ ბავშვს, დაუყოვნებლივ და უშუალოდ, მშობლების/კანონიერი მეურვის მეშვეობით, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ.[67] მას ასევე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და სამართლებრივი პროცედურების ზოგადი მსვლელობის თაობაზე. საერთაშორისო სტანდარტები, ასევე ცალკე განსაზღვრავს დაზარალებული და მოწმე ბავშვებისთვის შესაბამის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც.[68]

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიც არის მოსმენისა და მონაწილეობის უფლება - „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება. მას აქვს აგრეთვე უფლება, მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად[69]. კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის საქმის განხილვაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით სასამართლო:

- უზრუნველყოფს, რომ საქმის სასამართლოში განხილვა არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარების შესაბამისად მიმდინარეობდეს;
- სხდომებს შორის გონივრული ინტერვალით აცხადებს შესვენებას არასრულწლოვნის ასაკის, ჯანმრთელობის, განვითარების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი სარგებლობს შემდეგი უფლებებით: მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლებით; თარჯიმნის მომსახურების უფასოდ მიღების უფლებით – მისი მიღების საჭიროების შემთხვევაში; კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლებით; საკონსულო დახმარების მიღების უფლებით.[70]

---

[67] გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია 40(2)(ბ)(II).
[68] ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 20. დირექტივა 2012/29/EU მუხლი 3 (2)
[69] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.10 (1).
[70] იქვე, მ. 15.

ბავშვის მხრიდან ბრალის აღიარების დასაშვებობასთან დაკავშირებით, კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ „არასრულწლოვნის მიერ ბრალის აღიარების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო სხვა, შესაბამის გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარებს, დაკითხვის ხანგრძლივობას, გაურკვევლობის ან შესაძლო დაპატიმრების შიშს“[71].

ამ საკითხთან დაკავშირებით, კანონმდებლობა სრულიად არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან. ხარვეზები, ძირითადად იკვეთება პრაქტიკასთან მიმართებაში, რაც არის წარმოდგენილი ქვევით მონიტორინგის შედეგებში.

- **მონიტორინგის შედეგები**

სასამართლო მონიტორინგის განხორციელების პროცესში, განხილვაში მონაწილე ბავშვებს, უმეტეს შემთხვევაში ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეხატათ პოზიცია უშუალოდ, კანონიერი წარმომადგენლის/ადვოკატის გარეშე. ამ კუთხით გამოიკვეთა ზოგიერთი მოსამართლის აქტიური და პოზიტიური როლი ბავშვის განხილვის პროცესში ჩართვის კუთხით, რაც ნადვილად მისასალმებელია. მაგალითად, იყო სხდომები, სადაც ბავშვები არ ყოფილან შეზღუდული გამოეხატათ პოზიცია და მათთვის უშუალოდ მოესმინათ. უფრო მეტიც, მათ ჩართულობას უშუალოდ უზრუნველყოფდა მოსამართლის აქტიურობა ამ ნაწილში. მაგალითად *„ბრალდებულმა X-მა მოსამართლეს ჰკითხა განრიდების გამოყენებასთან დაკავშირებით, კერძოდ, შეიძლებოდა თუ არა არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენება პირველი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. მოსამართლემ მიაწოდა დეტალური ინფორმაცია, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა განრიდების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ. ასევე, განუმარტა, რომ იგი არ იყო შეზღუდული განრიდების შესახებ სასამართლოსთვის მიმართვაში“.*

თუმცა მონიტორინგის განხორციელებისას, იყო შემთხვევები (დაახლოებით 25% შემთხვევაში), როდესაც მოსამართლე უშუალოდ ბავშვს არ ეკითხებოდა რამდენად ეთანხმებოდა ადვოკატის პოზიციას და ხომ არ ჰქონდა რაიმე დამატებით სათქმელი.

ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც გარემო იყო ისეთი, რომ ბავშვები თითქოს არ იყვნენ შეზღუდული გამოეთქვათ საკუთარი აზრი, თუმცა ეს მოსამართლეს მათთვის პროაქტიულად არ შეუთავაზებია.

როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანია რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მოსამართლე არ იყოს პასიურ როლში და ყოველთვის აქტიურად ერთვებოდეს საქმის განხილვის პროცესში, როდესაც ამას მოითხოვს ზოგადად ბავშვის საუკეთესო ინტერესი. იგი აქტიურად უნდა ცდილობდეს ბავშვის უშუალოდ ჩართვას სასამართლო განხილვაში და არ უნდა ელოდებოდეს ბავშვის მხრიდან აქტიურობის გამოჩენას. შეგვიძლია

[71] იქვე, მ. 57.

ვთქვათ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე მოსამართლეებს დაკისრებული აქვთ ამ ტიპის ვალდებულება - ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე.[72]

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ სასამართლო განხილვისას, ბავშვებისთვის უფლებების განმარტება უმრავლეს შემთხვევებში როგორც წესი, გასაგები ენითა და ფორმით ხორციელდება, რაც მისასალმებელია. თუმცა გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან ბავშვს არ მიეწოდა ინფორმაცია მისთვის გასაგები ენითა და ფორმით. მაგალითად ერთ-ერთ შემთხვევაში - უფლებების განმარტებისას მოსამართლე საუბრობდა საკმაოდ სწრაფად, არ განუმარტავს თითოეული უფლების შინაარსი. ბრალის განმარტებისას, უბრალოდ წაიკითხა კოდექსის შესაბამის მუხლში მოცემული დისპოზიცია, თუ რას ნიშნავდა მაგალითად, *„ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“,* მოსამართლეს არ განუმარტავს ბრალდებულებისთვის უფრო მარტივი ენით.

იყო ასევე შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ ამ ფორმით განუმარტა ბავშვს უფლებები - *„გაქვთ დუმილის უფლება, უფლება არ დაიბრალოთ დანაშაული, პასუხი არ გასცეთ დასმულ შეკითხვებს, ისარგებლოთ ადვოკატით - რადგან არასრულწლოვნები ბრძანდებით, სავალდებულოა ადვოკატის მონაწილეობა და ესწრებიან თქვენი ადვოკატები; თქვენი კანონიერი წარმომადგენლები, რადგან ესეც პროცესუალურად სავალდებულოა და ისინი თუ არ იქნებიან ინიშნება საპროცესო წარმომადგენელი, თუმცა ესწრებიან პროცესს თქვენი კანონიერი წარმომადგენლები. ასევე უფლება გაქვთ დააყენოთ შუამდგომლობა, განაცხადოთ აცილება, შეუთანხმდეთ პროკურორს საპროცესო შეთანხმების თაობაზე.“* ცხადია, ვერც ეს ჩაითვლება ბავშვისთვის გასაგებ ფორმად და უფრო საკანონმდებლო მოთხოვნის ფორმალურ შესრულებად ჩაითვლება.

გარდა ამისა, ერთ-ერთი სასამართლო სხდომის მონიტორინგის განხორციელებისას დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც, მოსამართლემ ისე სწრაფად წაუკითხა ბავშვს მისი უფლებები, რომ მონიტორმაც კი ვერ მოასწრო ყველაფრის მოსმენა და აღქმა, რაც ვერ ჩაითვლება ბავშვის საუკეთესო ინტერესზე ორიენტირებულ მიდგომად.

სასამართლოების მონიტორინგის განხორციელებისას, როგორც წესი, მონიტორინგის უმეტესობა არ დაემთხვა სასამართლოს განხილვის იმ ეტაპს, სადაც ხდება ბავშვებისთვის უფლებების განმარტება. თუმცა 10 სასამართლო სხდომაზე მოხერხდა ამ საკითხის შეფასება, სადაც გამოიკვეთა, რომ უმეტეს შემთხვევაში ბავშვებს მიეწოდათ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. მიუხედავად ამისა, მაინც იკვეთება არაერთგვაროვანი მიდგომები

[72] იქვე, მ.4

მოსამართლეების მხრიდან, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს, როგორც მათ კვალიფიკაციას, ასევე გამოცდილებას. ინფორმაციის მიღება საკუთარი უფლებებისა და ზოგადად საქმის მიმდინარეობის შესახებ, სისხლის სამართლის პროცესში ჩართული ყველა ბავშვის საპროცესო უფლებაა. ამისთვის საკმარისი ცხადია არ არის მოსამართლის მხრიდან, ამ ინფორმაციის ბავშვისთვის ფორმალურად განმარტება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმას. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევებში, სადაც ბავშვებს ფორმალურად განუმარტეს უფლებები, მაგრამ არა ბავშვისთვის გასაგები ენით და ფორმით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ ამ შემთხვევებში, კონკრეტული საპროცესო უფლებით ვერ ისარგებლეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს განხილვის პროცესში, ბავშვების ჩართულობასთან და მათი მოსმენის უფლებასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა არაერთგვაროვანი პრაქტიკა. აღნიშნული საკითხი უკავშირდება, როგორ ამ პროცესში ჩართული მოსამართლეების, მხარეებისა და სხვა პირების კვალიფიკაციას (იხ. დეტალურად ზევით სპეციალიზირებული პირების ჩართულობის თავში), ასევე ხარისხის კონტროლის/მონიტორინგის სისტემის ხარვეზებს პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტთან მიმართებაში.

ბავშვზე მორგებული გარემო (ინფრასტრუქტურა)

- **საერთაშორისო სტანდარტები**

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არქიტექტურულმა გარემომ ბავშვს შესაძლოა დისკომფორტი შეუქმნას, ან სულაც რისკის შემცველი აღმოჩნდეს მისთვის. როგორც საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს, ბავშვის უფლება მოუსმინონ მას, მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან. როგორც ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს: „ბავშვს ეფექტურად ვერ მოუსმენენ შემაშინებელ, მტრულ, არასენსიტიურ ან მისი ასაკისათვის შეუფერებელ გარემოში“, „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ... სასამართლო დარბაზების დიზაინს, მოსამართლეებისა და ადვოკატების ჩაცმულობას, ეკრანებს და განცალკევებულ მოსაცდელ ოთახებს''.[73]

მსგავსი იყო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დასაბუთება, საქმეზე - T AND V V. UNITED KINGDOM [74], სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ სამეფო სასამართლოს ოფიციალური, რიტუალური გარემო ბუნდოვანი და შემაშინებელი იყო ბავშვებისთვის, რის შედეგადაც ბავშვებმა ვერ ისარგებლეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

ევროპული სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ განმარტავს, რომ საქმე, რომელშიც ბავშვი მონაწილეობს უნდა განიხილონ, არა შემაშინებელ,

---

[73] *გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 12, პ 34 (ურსინა ვაიდკუნი, დეკემბერი 2016, საქართველო, ბავშვზე მორგებული გარემო: კონცეფცია).*

[74] *ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:* < https://archive.crin.org/en/library/legal-database/t-and-v-v-united-kingdom.html >

ბავშვის მიმართ მგრძნობიარე გარემოში[75], სადაც ის თავს იგრძნობს უსაფრთხოდ და შესაბამისად უფრო თავისუფლად ილაპარაკებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე ბავშვისათვის სასამართლოს გარემოსა და პროცესში მონაწილე პირების გაცნობა; ბავშვთან ურთიერთობაში პატივისცემა და სენსიტიური განწყობა; ბავშვზე მორგებული მოსაცდელი ოთახების არსებობა; ბავშვის გამოკითხვა ბავშვზე მორგებულ ოთახებში, სადაც არავინ შეაწუხებს და ჩაერევა; დაზარალებული ბავშვის სავარაუდო დამნაშავესთან კონტაქტის თავიდან არიდება; სასურველია თანამშრომლები უნიფორმების ნაცვლად ატარებდნენ ჩვეულებრივ ტანსაცმელს; ან ბავშვის მოსმენა მოსამართლის კაბინეტში, სადაც ნაკლებად ოფიციალური გარემოა.

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს მხოლოდ ზოგად პრინციპებს, რაც შესაძლოა ამ საკითხს უკავშირდებოდეს. თუმცა კონკრეტული ნორმები ინფრასტრუქტურის მოწყობასთან/ორგანიზებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობაში ასახული არ არის.

აქედან გამომდინარე, ადგილობრივი კანონმდებლობა, პრინციპების დონეზე ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა სასურველია კანონმდებლობაში ასახული იყოს კონკრეტული ნორმები, რომლებიც ამ საკითხის რეგულირების საშუალებას მოგვცემდა. თუმცა ამ ნაწილში, ძირითადი ხარვეზები გამოიკვეთა პრაქტიკის კუთხით, რაც არის ასახული მონიტორინგის შედეგებში.

- **მონიტორინგის შედეგები**

თბილისის საქალაქო სასამართლო

- **შესასვლელი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს აქვს ძირითადი შესასვლელი, რომელსაც იყენებენ როგორც მოწმე/დაზარალებული, ასევე ბრალდებული არასრულწლოვნები. აღნიშნული შესასვლელი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, კერძოდ, კიბეს ორივე მხრიდან აქვს პანდუსი ეტლით მოსიარულეებისთვის. არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულებისთვის ცალკე შესასვლელი სასამართლო შენობაში არ არის.

[75] *იხილეთ პუნქტი IV 54ff და განმარტებითი მემორანდუმი (ურსინა ვაიდკუნი, დეკემბერი 2016, საქართველო, ბავშვზე მორგებული გარემო: კონცეფცია).*

**თბილისის საქალაქო სასამართლოს შესასვლელი.*

სასამართლოს აქვს ასევე ცალკე შესასვლელი მხოლოდ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნებისთვის. ეს შესასვლელი განთავსებულია შენობის უკანა მხარეს. არის ადაპტირებული შესასვლელი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მე-12, მე-13 და მე-14 დარბაზებს. თუმცა აღნიშნული შესასვლელები გამოიყენება, როგორც სრულწლოვნებისთვის, ასევე არასრულწლოვნებისთვის. ამ შემთხვევაში ადაპტირებული მოსაცდელი ოთახი არ არსებობს. აღნიშნული შესასვლელი, არ არის ადაპტირებული შშმ პირთა საჭიროებების მიმართ, კერძოდ ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს შესასვლელი პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნებისთვის.*

- **პატიმრობაში მყოფი პირების განთავსების ადგილი**

არასრულწლოვანი პატიმრებისთვის ცალკე გამოყოფილია სამი ოთახი, ერთი და იგივე ფართის. ამ ოთახის იატაკი არის ბეტონის, კედლები შეღებილია თეთრად. ოთახს აქვს პატარა სარკმელი, რომელიც ხელოვნური განათების არქონის შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს საკმარის ბუნებრივ განათებას. ამიტომ ოთახში ჩართულია ხელოვნური განათება. ფანჯარა არ

იღება. ოთახში დამონტაჟებულია ვენტილაცია. ერთ-ერთ კედელთან ამოშენებულია ტახტის მსგავსი დასაჯდომი, რომელზეც დამაგრებულია ხის ზედაპირი. კედლებზე შეინიშნება ნაფეხურები, არის წარწერები. ამავე საკნებში ათავსებენ ქალებს, აგრეთვე, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელ პატიმრებს. თუმცა, არასრულწლოვანი ყოველთვის თავსდება ცალკე. ამ სამი ოთახის გვერდით განთავსებულია საპირფარეშო, რომელიც არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. საპირფარეშოში ჰიგიენური ნორმები დამაკმაყოფილებელია. ადგილი, სადაც განთავსებულია ეს სამი ოთახი, გამოყოფილია და ცალკეა იმ ფართისგან, სადაც განლაგებულია სრულწლოვანი პირებისთვის განკუთვნილი საკნები. ეს ორი ფართი კიბეებით უკავშირდება ერთმანეთს. ანუ, არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი საკნები იზოლირებულია სრულწლოვანი პირებისთვის განკუთვნილი საკნებისგან. იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობაში მყოფი ბრალდებული, მათ შორის არასრულწლოვანი, არის შშმ პირი და გადაადგილდება ეტლით, შენობაში შეყავთ სხვა შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია, ანუ მოწყობილია პანდუსი. ეს შესასვლელიც შენობის უკანა მხარეს არის და უკავშირდება დარბაზებს. შესასვლელში არ არის რაიმე ხელისშემშლელი არქიტექტურული ბარიერი.

**პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნების დროებითი განთავსების ოთახები თბილისის საქალაქო სასამართლოში.*

- **მოსაცდელი**

თავისუფლებაში მყოფი არასრულწლოვნები სარგებლობენ შენობის ცენტრალური შემოსასვლელით და მათთვის სპეციალური მოსაცდელი ოთახი არ არსებობს. ისინი პროცესის დაწყებას ელოდებიან საერთო „ფოიეში“, საიდანაც სასამართლოში შედის ყველა პირი (ადვოკატები, პროკურორები, დაინტერესებული მხარეები, უბრალო მოქალაქეები, მედიის წარმომადგენლები) სასამართლოს აქვს შშმ პირთათვის განკუთვნილი ეტლი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებენ. პატიმარი, რომელიც შშმ პირია, ყოველთვის მოყავთ

ზუსტად იმ დროს, როდესაც უნდა დაიწყოს პროცესი და შესაბამისად, ამ პირს არ უწევს საკანში ყოფნა, პირდაპირ შეყავთ დარბაზში.

სასამართლოს შენობაში ცალკე არის გამოყოფილი სამი მოცდის ოთახი პატიმრობა შეფარდებული არასრულწლოვანი პატიმრებისთვის. სასამართლოს მენეჯერის განმარტებით ეს ოთახები ასევე განკუთვნილია ქალებისთვის და სექსუალური უმცირესობებისთვის. ოთახში არის მხოლოდ გრძელი სკამი. ოთახს აქვს მცირე ზომის დახშული და დაბურული ფანჯარა, რომელიც მცირედ უზრუნველყოფს ოთახს ბუნებრივი განათებით. ასევე ოთახს აქვს სავენტილაციო სისტემა. ამ სამი ოთახისთვის გამოყოფილია ერთი ინდივიდუალური საპირფარეშო, რომელიც შშმ პირებისთვის ადაპტირებული არ არის. ასევე არაადაპტირებულია ამ ოთახებთნ მისასვლელი, ვინაიდან აუცილებელია კიბის გავლა. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა შშმ პირები პირდაპირ შეჰყავთ სხდომათა დარბაზში, მოცდის გარეშე. ფოიეში განთავსებულია მონიტორი, რომელზეც მენეჯერის განმარტებით ასახულია დარბაზების მდებარეობა. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებენ.

სასამართლო შენობის „ფოიეში“ განთავსებულია რუკა რომელიც განსაზღვრავს დარბაზებამდე მისასვლელი გზის ტრაექტორიას. დერეფნებში ასევე განთავსებულია უსაფრთხოების საევაკუაციო რუკები. არასრულწლოვნების საჭიროებებზე მორგებული რაიმე სახის ბროშურები/ბუკლეტები არ არის განთავსებული ფოიეში.

**მოსაცდელი სივრცეები თბილისის საქალაქო სასამართლოში.*

- **საპირფარეშო**

შენობის პირველ სართულზე არსებული საპირფარეშოები, რომლებიც განთავსებულია ე.წ „ფოიედან“ მარჯვენა და მარცხენა მხარეს და სარგებლობენ შენობაში მყოფი მოქალაქეები, არ არის ადაპტირებული. პირველ სართულზე არის შენობაში არსებული ერთადერთი ადაპტირებული საპირფარეშო, რომელიც განთავსებულია სასამართლოს ახალაშენებულ

სამოქალაქო საქმეებისთვის განკუთვნილ ფლიგელში, ძირითადი შესასვლელიდან მარჯვნივ მიმავალი დერეფნის უკიდურეს ბოლო ნაწილში. შესაბამისად აღნიშნული საპირფარეშო დაშორებულია ზოგიერთი დარბაზიდან საკმაო მანძილით. პირველ დარბაზთან არსებული საპირფარეშოები ადაპტირებული არ არის. შენობაში ასევე არის ლიფტი, რომლითაც როგორც წესი სარგებლობენ მოსამართლეები, თუმცა სასამართლოს მენეჯერის განმარტებით, ის საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იყოს შშმ პირების გადაადგილებისთვის.

**საპირფარეშოები თბილისის საქალაქო სასამართლოში.*

- **სხდომის დარბაზები**

სისხლის სამართლის საქმეებისთვის განკუთვნილია პირველ სართულზე არსებული დარბაზები, რომელთაგან არასრულწლოვანთა პროცესები უმეტეს შემთხვევაში ტარდება პირველ დარბაზში, თუმცა ასევე სხვა დარბაზებშიც. პირველ დარბაზს აქვს სასამართლოს ეზოში გამავალი დიდი ზომის ფანჯრები, რომლებშიც ჩასმულია მოზაიკური ფერადი შუშა. პირველ დარბაზში ხელოვნური განათების გამორთვის შემთხვევაში შეინიშნება ბუნებრივი განათება, თუმცა ეს ვერ შეფასდება საკმარისად. N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13 და N41 დარბაზებს აქვთ მცირე ზომის ფანჯრები, თუმცა ისინი იხსნება არა ღია სივრცეში, არამედ დერეფანში. ხოლო N2, N3, N14 და N15 დარბაზებს არც ასეთი სახის და ფორმის ფანჯრები არ აქვს. დარბაზების ინვენტარი და აღჭურვილობა გადაწყვეტილია მუქ ყავისფერ ფერებში, რაც ვერ შეფასდება ბავშვზე მორგებულ მიდგომად.

დარბაზებში შესასვლელი ძირითადი კარებები არ იხურება ჰერმეტულად და ორ კარს შორის დახურვისას რჩება მცირედი ღიობი, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ პროცესი არ მიმდინარეობს აკუსტიკურად დაცულ მდგომარეობაში. სხდომის დარბაზები აღჭურვილია აუდიო ჩამწერი სისტემით, რომელიც გამოიყენება სტენოგრამისთვის და მისი ჩანაწერები წარმოადგენს სასამართლო განხილვის ოქმის შემადგენელ ნაწილს. დარბაზებში ასევე დამონტაჟებულია ვიდეო კამერა, რომელიც გამოიყენება უსაფრთხოების მიზნებისთვის.

სასამართლოს მენეჯერის განმარტებით დახურული სხდომების მიმდინარეობისას ვიდეო კამერები გამორთულია.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

- **შესასვლელი**

რუსთავის საქალაქო სასამართლო შენობას აქვს ორი შესასვლელი. შენობის ძირითადი შესასვლელი, რომლის საშუალებითაც შევდივართ „ფოიეში“. ძირითად შესასვლელს იყენებენ როგორც პროცესში მონაწილე პირები, მათ შორის ის ბრალდებულები, რომელთაც პატიმრობა შეფარდებული არ აქვთ, ასევე, დამსწრეები იყენებენ საერთო შესასვლელს. აღნიშნული შესასვლელი გამოიყენება, როგორც სრულწლოვნებისთვის, ისე არასრულწლოვნებისთვის. აღნიშნული შესასვლელი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის იმ კუთხით, რომ აქვს პანდუსი და შესაძლებლობას აძლევს ეტლით მოსარგებლეებს შევიდნენ შენობაში.

პატიმრობა შეფარდებული პირები შენობაში შედიან მეორე შესასვლელით. აღნიშნული შესასვლელი გამოიყენება, როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი პატიმრებისთვის. შენობის უკანა შესასვლელი ეტლით მოსარგებლეებისთვის არ არის ადაპტირებული და შენობაში შესასვლელად აუცილებლად მოითხოვს კიბეების გავლას. პატიმრობა შეფარდებული პირები სასამართლო განხილვამდე მოცდის პერიოდში მოთავსებულნი არიან სპეციალურ საკნებში, რომლებიც მდებარეობენ მინუს სართულზე. აღნიშნული სართული სასამართლო დარბაზში შესასვლელ სპეციალურ კარებს, გამოყოფილს მხოლოდ პატიმარი ბრალდებულებისთვის, უკავშირდებიან მხოლოდ კიბის საშუალებით, შესაბამისად, ისინი ადაპტირებულნი არ არიან. სასამართლოს შენობაში მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნებისთვის ცალკე შესასვლელი გათვალისწინებული არ არის.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს შესასვლელი.*

შენობაში ბევრი დაბრკოლებაა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. შენობა აღჭურვილი არ არის ლიფტით და სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ კიბეების საშუალებით. მეორე სართულზე შედარებით ნაკლებ დაბრკოლებას ვხვდებით, იმის გათვალისწინებით, რომ პანდუსის გავლით ვხვდებით ძირითად შესასვლელთან და შემდგომ „ფოიეში“, რომელიც მეორე სართულზეა და ამ სართულის დარბაზებთან მისვლა დაუბრკოლებლად არის შესაძლებელი. თუმცა ამ სართულზე არსებულ საპირფარეშოში მოსახვედრად ასევე არის გარკვეული დაბრკოლებები. როგორც სასამართლოს თანამშრომლებმა განმარტეს, თუ პროცესის მონაწილე პირი ეტლით მოსარგებლეა, ან შშმ პირია, პროცესი ინიშნება მეორე სართულზე მდებარე დარბაზში. შშმ პირების დახვედრა და სასამართლოს დარბაზამდე მიცილების პროცესი, მოწესრიგებულია სასამართლოს თავმჯდომარის შიდა ბრძანებით.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს კიბეები (სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ კიბით).*

- **პატიმრობაში მყოფი პირების განთავსების ადგილი**

შენობაში პატიმრობა შეფარდებული ბრალდებულებისთვის გამოყოფილია 300 კაცზე გათვლილი 17 ოთახი. მათგან კონკრეტულად არასრულწლოვნებზე გათვლილი არც ერთი არ არის. არასრულწლოვანი პატიმრები საკნებში განცალკევებით არიან განთავსებულები სრულწლოვნებისაგან და მათ ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას არ აძლევენ. საკნები განთავსებულია მინუს სართულზე და მათში განსათავსებლად პატიმრები შეჰყავთ უკანა შესასვლელიდან, რომელიც კიბეებზე გადის და არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. აღნიშნული საკნები ასევე კიბეებით უკავშირდება სასამართლო სხდომის დარბაზებს და ასევე არ არის ადაპტირებული. საკნებს არ აქვთ ფანჯარა, არ მიეწოდებათ ელექტროენერგია, შესაბამისად, არც ხელოვნური განათებაა უზრუნველყოფილი, საკნების გარეთ არის საერთო საპირფარეშო და საკნებისთვის ის ცალ-ცალკე უზრუნველყოფილი არ არის. ამასთან საპირფარეშო ვერ აკმაყოფილებს აუცილებელ ელემენტარულ მოთხოვნებსაც. საკნები აღჭურვილია მხოლოდ გრძელი სკამით (ე.წ. „ნარი“), პატიმრები არ არიან უზრუნველყოფილნი ლოგინით და მაგიდით, განიავება ხორციელდება მხოლოდ ხელოვნური გზით და ისიც იმ შემთხვევაში ირთვება თუ სუნი იქნება, სხვა შემთხვევაში არ რთავენ, ვინაიდან ხმაურს იწვევს. თუ საპირფარეშოს მოთხოვნა ექნება პატიმარს, გამოყავთ საერთო საპირფარეშოში, სადაც გამოყოფილია ორი ფლიგელი, პენიტენციურის სისტემის თანამშრომლებისთვის (ესკორტის სამსახური) და პატიმრებისთვის. საკნების კარები არის ღია გისოსი და იძლევა საკნიდან საკანში ვერბალური კონტაქტის შესაძლებლობას.



**რუსთავის საქალაქო სასამართლოში პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნების დროებითი განთავსების ადგილი.*

- **მოსაცდელი**

სასამართლოს ფოიეში, რომლითაც ყველა სარგებლობს (გარდა პატიმრებისა), განთავსებულია საინფორმაციო ტრიბუნა, საინფორმაციო დაფა, სასამართლო დარბაზების მდებარეობის მიმანიშნებელი დაფა, სასამართლო სტატისტიკის დაფა და სხვა. სასამართლო შენობის ფოიეში განთავსებულია რუკა რომელიც განსაზღვრავს დარბაზებამდე მისასვლელი გზის ტრაექტორიას. დერეფნებში ასევე განთავსებულია უსაფრთხოების საევაკუაციო რუკები.





**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსაცდელი სივრცე და საინფორმაციო დაფები.*

- **სასამართლოს სხდომის დარბაზები**

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისთვის სასამართლოს შენობის მეორე სართულზე გამოყოფილია მე-3 და მე-4 დარბაზები, ხოლო მე-3 სართულზე მე-6 და მე-7 დარბაზები. მე-4 დარბაზს აქვს 6 ფანჯარა და ასევე კონდიციონერები, ასევე მე-7 დარბაზს აქვს ფანჯრები და კონდიციონერები, რომლებიც უზრუნველყოფენ დარბაზის საკმარის ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას. მე-3 და მე-6 დარბაზებს ფანჯარა არ აქვთ, შესაბამისად, ბუნებრივი განათება და განიავება საკმარისად უზრუნველყოფილი არ არის. ხელოვნური განიავებისთვის ეს დარბაზები აღჭურვილია კონდენციონერებით. მოწმე/დაზარალებულის დასაკითხი ოთახი (იხ. ქვევით დეტალურად) დისტანციურად უკავშირდება მხოლოდ მე-2 და მე-4 დარბაზებს.

სასამართლო დარბაზში შესასვლელი ძირითადი კარები არ იხურება ჰერმეტულად და ორ კარს შორის დახურვისას რჩება მცირედი ღიობი, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ პროცესი არ მიმდინარეობს აკუსტიკურად დაცულ მდგომარეობაში. თუმცა სასამართლოს თანამშრომლების განმარტებით, დარბაზები არის დიდი და ზოგიერთ მათგანში ხმის გამაძლიერებლების დაყენებაც კი გახდა საჭირო იმისთვის, რომ დარბაზში გასაგები ყოფილიყო პროცესის მიმდინარეობის შინაარსი. არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის დაკითხვა ხორციელდება მე-4 დარბაზთან კავშირის მეშვეობით (დეტალურად იხ. ქვევით). დარბაზების ინვენტარი და აღჭურვილობა ძირითადად გადაწყვეტილია მუქ ყავისფერ ფერებში, რაც ვერ ჩაითვლება ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომად.

დარბაზები აღჭურვილია აუდიო ჩამწერი სისტემით, რომელიც გამოიყენება სტენოგრამისთვის. დარბაზებში ასევე დამონტაჟებულია ორი სახის კამერა, ერთი კამერა მიბმულია სტენოგრამისთვის განკუთვნილ აუდიო სისტემაზე, მეორე კამერა გამოიყენება უსაფრთხოების მიზნებისთვის. მანდატურის სამსახურის უფროსის განმარტებით, დახურული სხდომები იწერება მხოლოდ აუდიო წესით, ხოლო ვიდეო კამერები, როგორც წესი, გამორთულია.

**სასამართლო დარბაზები რუსთავის საქალაქო სასამართლოში.*

- **საპირფარეშო**

საპირფარეშო განთავსებულია დერეფანში. ცალკე პატიმრებისთვის და ცალკე თანამშრომლებისთვის. თანამშრომელთა განმარტებით, შენობაში შშმ პირებისთვის განკუთვნილი მხოლოდ ერთი საპირფარეშოა, რომელიც მდებარეობს იმ ფლიგელში, სადაც ადმინისტრაციული პერსონალია განთავსებული და იქ გარეშე პირები ვერ მოხვდებიან. ამასთან, ძირითად შენობაში მოწყობილია საპირფარეშოები, რომელიც საფეხურით არის გამოყოფილი ძირითადი ნაწილისგან და შეუძლებელს ხდის ეტლით მოსარგებლის მიერ გამოყენებას. თუ პროცესში მონაწილე პირი ეტლით მოსარგებლეა, ის დაუბრკოლებლად მისვლას მოახერხებს მხოლოდ პირველ სართულზე მდებარე დარბაზში.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს საპირფარეშოები.*

- **მოწმე/დაზარალებული ბავშვის დაკითხვის ოთახი**

სასამართლოს შენობაში არის ცალკე ოთახი, საიდანაც პროცესზე დისტანციურად ხდება არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის დაკითხვა. ამ დროს ბავშვი, სასამართლოს სხდომის განხილვაში, კერძოდ კი დაკითხვის პროცესში ერთვება სხვა ოთახიდან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. როგორც წესი, ბავშვები ამ ოთახშივე იცდიან სანამ პროცესი დაიწყება. ოთახი კეთილმოწყობილია. არ არის დამთრგუნველი ავეჯი. განთავსებულია ბროშურები, მაგ. „მართლმსაჯულება და ბავშვის უფლებები"; „ბავშვის უფლებათა კონვენცია"; „ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში"; „რა უნდა იცოდე დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნისას"; „რა უნდა იცოდე სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ყოფნისას"; „მომიყევი რა მოხდა, დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, სახელმძღვანელო ტრენერების და პროფესიონალებისთვის"; „ინფორმაცია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმის შესახებ"; „მართლმსაჯულება და ბავშვის უფლებები" (სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის); „ბავშვის უფლებათა კონვენცია"; „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები" და სხვა. მაგიდაზე დევს სახატავი ფანქრები. გარდა ამისა, სასამართლოს შესასვლელში აქვთ განთავსებული პატარა წიგნი „ბავშვები და სამართალი".

არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულების დასაკითხი ოთახი მდებარეობს მესამე სართულზე, სადაც მისვლა მხოლოდ კიბით არის შესაძლებელი, ვინაიდან შენობაში არ არის ლიფტი. ამის გათვალისწინებით შენობა ეტლით მოსარგებლე არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულებისთვის არ არის ადაპტირებული. თანამშრომელთა განმარტებით, თუ იციან, რომ უნდა განხორციელდეს არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის დაკითხვა, ცდილობენ ზემოხსენებულ ოთახში აიყვანონ და იქ დაელოდოს პროცესის დაწყებას მოცდის

პერიოდში და არა საერთო ფოიეში. აღნიშნულ ოთახში არასრულწლოვანთან ერთად უშვებენ მხოლოდ კანონიერ წარმომადგენელს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა პირებს.



**მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის დაკითხვის ოთახი რუსთავის საქალაქო სასამართლოში.*

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

- **შესასვლელი**

სასამართლოს შენობას სულ 3 შესასვლელი აქვს: ძირითადი, ადაპტირებულია შშმ პირთათვის (შენობის მარჯვენა მხრიდან) და პატიმრობაში მყოფი ბრალდებულებისთვის (შენობის უკანა მხარეს). შესაბამისად, ცალკე შესასვლელით სარგებლობენ მხოლოდ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები. რაც შეეხება არასრულწლოვან მოწმე/დაზარალებულებს, ისინი ძირითადი შესასვლელით სარგებლობენ. შშმ პირთათვის არის ცალკე ადაპტირებული შესასვლელი. შშმ პირებს გადაადგილება შეუძლია მხოლოდ შენობის პირველ სართულზე.

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შესასვლელი.*

- **მოსაცდელი**

სასამართლოს შენობაში არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი ცალკე მოსაცდელი ოთახი არ არის. არასრულწლოვნებს ძირითადად მოცდა უწევთ შენობის პირველ სართულზე არსებულ ფოიეში ან იშვიათ შემთხვევებში - ამავე სართულზე განლაგებულ ადვოკატების ოთახში, სადაც მათ შესაძლოა ჰქონდეთ კონტაქტი სხვა პირებთან. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც მითითებულია დარბაზების განლაგება. გარდა ამისა განთავსებულია ტაბლო, სადაც მონიტორინგის განხორციელების პროცესში არასრულწლოვნის სახელი და გვარი მითითებული არ იყო, თუმცა საყურადღებოა დაფიქსირდა ფაქტი, რომ ზოგადად პროცესის დაწყებამდე მანდატურმა გამოაცხადა ყველა არასრულწლოვანი ბრალდებულის სახელი და გვარი პროცესის დაწყების შესახებ მხარეების ინფორმირების მიზნით.



**მოსაცდელი სივრცე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.*

- **პატიმრობაში განთავსებული პირების განთავსების ადგილი**

პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი პირების განთავსება ხდება შენობის 0 სართულზე, სადაც არის 5 საკანი, რომლებსაც იყენებენ როგორც არასრულწლოვნების, ისე სრულწლოვანი პატიმრებისთვის. საკნები უსახურია, არის ბეტონის იატაკი/კედლები, მცირე ზომის ფანჯარა, არ არის ხელოვნური განათება და ავეჯი. არის მხოლოდ ხის წვრილი დასაჯდომი. განცალკევებით ხდება პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულის განთავსება სრულწლოვნებისგან.

**პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნის დროებითი განთავსების ოთახი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.*

- **საპირფარეშო**

საპირფარეშო განლაგებულია 0 სართულზე, შესაბამისად, ეტლით მოსარგებლე პირისთვის მისაწვდომი არ არის კიბეების გამო (ლიფტი არ არის). ასეთ შემთხვევებში მანდატურების დახმარებით ხდება ეტლით მოსარგებლე პირის საპირფარეშომდე მიყვანა. მონიტორინგისას ასევე გამოიკვეთა, რომ საპირფარეშოს ადაპტირების საკითხი დღის წესრიგშია, თუმცა კონკრეტულად როდის მოგვარდება უცნობია.

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საპირფარეშოები.*

- **სხდომის დარბაზები**

დარბაზები მეტ-ნაკლებად ერთნაირია. ყველას აქვს ერთი ან 2 ფანჯარა, ავეჯი ყველა დარბაზში სტანდარტული ყავისფერია და ზოგადად არის მუქ ფერებში. მონიტორინგის განხორციელების პროცესში, დარბაზებიდან პროცესის მიმდინარეობა არ ისმოდა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოსთვის წინასწარ არის ცნობილი, რომ ბრალდებული ან პროცესის სხვა მონაწილე არის შშმ პირი, პროცესი ტარდება N1 დარბაზში, რომელიც განლაგებულია პირველ სართულზე, რათა შშმ პირს არ შეექმნას დამატებითი პრობლემები გადაადგილებასთან დაკავშირებით. მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს ადგილზე დახვედრას და მიყვანას.



**სხდომათა დარბაზები ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.*

ინფრასტრუქტურის მონიტორინგის შეჯამება

დასკვნის სახის არის წარმოდგენილი სასამართლოებში არსებული ინფრასტრუქტურის შემაჯამებელი შეფასება, იმავე სტრუქტურით, რა სახითაც არის წარმოდგენილი მისი ზოგადი აღწერა.

შესასვლელი

ყველა სასამართლოს, რომლის ინფრასტრუქტურის შეფასებაც განხორციელდა, აქვს საერთო შესასვლელი, რომლითაც სარგებლობს ყველა პირი, ვინც გარკვეული მიზნით მიდის სასამართლოში. აქ იგულისხმებიან - პროკურორები, ადვოკატები, ბრალდებულები, მსჯავრდებულები, გამართლებულები, დაზარალებულები, მოწმეები, ექპერტები, სასამართლო სხდომებზე დასწრების სურვილის მქონე მოქალაქეები. აქედან გამომდინარე, სასამართლოს განხილვის პროცესში ჩართული ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თუ მოწმე/დაზარალებული ბავშვები, სარგებლობენ ამ საერთო შესასვლელით, რა დროსაც შესაძლოა ჰქონდეთ კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, ვისაც კონკრეტულად მათ საქმესთან აქვს შეხება ან ნებისმიერ სხვა ადამიანთან. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით სასამართლოს განხილვის პროცესში ჩართული ბავშვების კონფიდენციალობა არ არის დაცული, როგორც ამას ითვალისწინებს საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები.

სასამართლოს ძირითად შესასვლელები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, კერძოდ ეტლით მოსარგებლეებისთვის. გამონაკლისს წარმოადგენენ იმ ბრალდებული/მსჯავრდებული ბავშვები, ვისაც აღკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა. ისინი სარგებლობენ ცალკე შესასვლელით. ამავე შესასვლელით სარგებლობენ პატიმრობაში მყოფი სრულწლოვანი პირები (იხ. დეტალურად ქვევით). აღნიშნულ ნაწილში შესასვლელი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, კერძოდ ეტლით მოსარგებლეებისთვის.

მოსაცდელი

ანალოგიური სახის პრობლემების იკვეთება სასამართლოებში არსებულ მოსაცდელებთან, ე.წ „ფოიე“-სთან დაკავშირებით. ყველა სასამართლოს, რისი შეფასებაც განხორციელდა, აქვს საერთო მოსაცდელი ყველა პირისთვის, რაც აღნიშნული ზედა თავში და ამ შემთხვევაშიც ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, რის გამოც მათი კონფიდენციალობა არ არის დაცული. გამონაკლისს აქაც პატიმრობაში მყოფი ბავშვები და ის შემთხვევები, როცა ბავშვი სხდომის დასწრებას, გამონაკლისის სახით, შესაძლოა დაელოდოს სხვა სივრცეში (მაგ. რუსთავის სასამართლოში - დაკითხვის ოთახში, ქუთაისის სასამართლოში - ადვოკატების ოთახში).

მოსაცდელებში განთავსებულ დაფებზე/მონიტორებზე, არ არის აღნიშნული ბავშვის შესახებ მონაცემები. თუმცა, მაგალითად თბილისის საქალაქო სასამართლოში, იმ ფორმით არის აღნიშნული მონიტორზე არასრულწლოვნის პროცესი (ე.წ ფიფქებით), რომ ბავშვის იდენტიფიცირება ვერ ხდება. თუმცა შესაძლებელი ხდება იმ სასამართლოს სხდომის დარბაზის იდენტიფიცირება, სადაც სხდომა იმართება, რომელშიც ბავშვი მონაწილეობს. ამ კუთხით იკვეთება ხარვეზები სხდომის დარბაზების კონფიდენციალობასთან დაკავშირებით (იხ. დეტალურად ქვევით).

აღნიშნული მოსაცდელები არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, კერძოდ ეტლით მოსარგებლეებისთვის. თუმცა ზოგ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს სართულებს შორის გადაადგილება (მაგ. რუსთავის სასამართლოში), სადაც არ არის ლიფტი. ამის გამო, სხდომების გამართვა უწევთ მხოლოდ პირველ სართულზე, როცა შშმ პირი მონაწილეობს პროცესში.

პატიმრობაში მყოფი პირების განთავსების ადგილი

ყველა სასამართლოს, რომლის შეფასებაც განხორციელდა, აქვს პატიმრობაში განთავსებული პირებისთვის სპეციალური საკნები, სადაც აღნიშნული პირები ელოდებიან სასამართლო სხდომის დაწყებას. ეს საკნები განკუთვნილია, როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პატიმრებისთვის.

ეს საკნები სრულიად შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან. საკნებში არ არის ბუნებრივი ვენტილაცია და განათება; არ არის დაცული ბავშვის კონფიდენციალობა; არსებული ინვენტარი არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რაც უნდა გამოიყენებოდეს ბავშვებთან დაკავშირებით (არის მყარი დასაჯდომი; არ არის მაგიდა; ინვენტარი არის მუქ ფერებში და ა.შ.). აღნიშნული გარემო არამარტო არ შეესაბამება ბავშვთა დაცვის სფეროში არსებულ სტანდარტებს, ის შეუსაბამოა ზოგადად თავისუფლების შეზღუდვის ზოგად სტანდარტებთან (მაგ. ე.წ „მანდელას წესებთან“), მათ შორის სრულწლოვანი პირებისთვისაც, ვისი განთავსებაც აქ ხდება.

აღნიშნული საკნები არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, კერძოდ ეტლით მოსარგებლეებისთვის.

სხდომის დარბაზები

სასამართლო სხდომის დარბაზები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ბავშვზე მორგებული გარემოს პრინციპებს. სხდომის დარბაზები უმრავლესობაში არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია; ავეჯი არის ძალიან მუქ ფერებში, არაადაპტირებული ბავშვებისთვის, რაც ქმნის ძალიან ოფიციალურ და რიტუალურ გარემოს; სასამართლო სხდომის ზოგ დარბაზში, სადაც სხდომები იმართება ბავშვების მონაწილეობით, ბრალდებული/მსჯავრდებული ბავშვების განთავსება ხდება საკნის მაგვარ შუშის კაბინაში (მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოში); სხდომის ზოგ დარბაზში შესაძლებელია გარედან ღიობის მეშვეობით შიგნით შეხედვა და იქ მონაწილე პირების იდენტიფიცირება; ზოგიერთი სხდომის დარბაზი არ არის დაცული აკუსტიკურად.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს სხდომის დარბაზები, რომლის შეფასებაც განხორციელდა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მოწმე/დაზარალებული ბავშვის დაკითხვის ოთახი

იმ სასამართლოებში, რომლის ინფრასტრუქტურის შეფასებაც განხორციელდა, ბავშვზე მორგებულ გარემოსთან დაკავშირებით, გამონაკლისს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლოში არსებული მოწმე/დაზარალებული ბავშვის დაკითხვის ოთახი. ამ სივრციდან სასამართლო პროცესზე დისტანციურად ხდება არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის დაკითხვა. ოთახში არის ბუნებრივი განათება და ვენტილაცია; არის ადაპტირებული ავეჯი და ოთახში არის განთავსებული სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბროშურები, ბავშვისთვის გასაგები ენით და ფორმით. **რუსთავის საქალაქო სასამართლოში შექმნილი ოთახი, წარმოადგენს ძალიან კარგ მცდელობას, სასამართლო სისტემაში შეიქმნას ბავშვზე მორგებულ გარემოს გარკვეული სახის მოდელი, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება ეტაპობრივად განხორციელდეს სასამართლოების ინფრასტრუქტურის მოდიფიციფირება.**

საპირფარეშოები

მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ სასამართლოებში ზოგადად არსებობს საპირფარეშოები შშმ პირებისთვის, თუმცა მათზე წვდომა არის საკმაოდ შეზღუდული სხვადასხვა გარემოებების გამო. თბილისის საქალაქო სასამართლოში, შშმ პირებისთვის განკუთვნილი საპირფარეშო განთავსებულია ახალ ფლიგელში, სადაც ხდება სამოქალაქო საქმეების განხილვა; რუსთავის სასამართლოში შშმ პირების საპირფარეშო განთავსებულია ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი შენობის ნაწილში, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საპირფარეშო განთავსებული 0 სართულზე, არ არის ლიფტი და ამ სართულზე ჩასვლა მხოლოდ კიბეების მეშვეობით არის შესაძლებელია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოებში არსებული საპირფარეშოები არ არის შშმ პირების, კერძოდ ეტლით მოსარგებლეებზე ადაპტირებული.

ბავშვების დაკითხვა სასამართლოში

- **საერთაშორისო სტანდარტები**

საერთაშორისო სტანდარტები ადგენს სპეციალურ რეგულაციებს მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ბავშვების დაკითხვის პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია დაკითხვის პროცესისთვის ბავშვების მომზადება. შესაბამისმა პროფესიონალებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვს ესმოდეს რა პროცესში მონაწილეობს და ჰქონდეს ზუსტი მოლოდინები პროცესის განვითარებასთან დაკავშირებით. დაკითხვა წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და სპეციალისტებთან ურთიერთობის პროცესიც თანმიმდევრულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული.[76]

ბავშვის ინფორმირება

დაკითხვის ეტაპზე ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობა და ამ პროცესში მათ მხარდაჭერას შესაბამისი სპეციალისტები უნდა უზრუნველყოფდნენ.[77] როგორც ბრალდებულ, ასევე მოწმე/დაზარალებულ ბავშვებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ (იხ.დეტალურად ზევით).

დაკითხვის/გამოკითხვის მეთოდი

ბავშვთან ნებისმიერი ინტერაქცია, მათ შორის დაკითხვაც, უნდა წარიმართოს იმ ენაზე, რომელსაც ბავშვი იყენებს და რომელიც ესმის.[78] კომუნიკაცია უნდა ხდებოდეს მარტივი და გასაგები ენით. კომუნიკაციის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მახასიათებლები, მათ შორის, ნებისმიერი უნარშეზღუდულობა, რომელიც, შესაძლოა, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის შესაძლებლობაზე, გაიგოს ან იყოს გაგებული.[79]

დაკითხვის სანდოობის გაზრდის მიზნით და ბავშვის ტრავმირების რისკის შესამცირებლად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას დაზარალებული და მოწმე ბავშვების მათზე მორგებული მეთოდებით გამოკითხვა. ნებადართული უნდა იყოს დაკითხვაზე დამკვირვებლის (მაგალითად სუპერვაიზორის) დასწრება ან/და მაგალითად ფსიქოლოგის მონაწილეობა.[80]

შესაბამისმა სპეციალისტებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს ჰქონდეთ მართლმსაჯულების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება, რაც მოიცავს ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის გზის არჩევის შესაძლებლობასაც.[81] ასევე ჰქონდეთ სამართლებრივ

---

[76] ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 25.
[77] ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 21
[78] გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პარ. 14.
[79] დირექტივა 2012/29/EU მუხლი 3 (2).
[80] ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 31 (გ).
[81] ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 21(ბ).

პროცედურებში მონაწილეობისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი და სიმწიფე.[82]

სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მისცენ ჩვენება, წარმოადგინონ მტკიცებულებები და აირჩიონ თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის ფორმა, პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით.[83]

- **ადგილობრივი კანონმდებლობა**

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანი შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. მისი გამოკითხვა/დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება. არასრულწლოვანის დაკითხვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინტერვალებით, სადაც უნდა მოხდეს არასრულწლოვნის ასაკის, განვითარების დონისა და სხვა გარემოებების გათვალისწინება. თუ არასრულწლოვანი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე მოწმე ან დაზარალებული, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული.

14 წლამდე ასაკის პირის გამოკითხვა/დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისთვის დასმული შეკითხვა. 14 წლამდე ასაკის გამოსაკითხ პირს/მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.[84]

არასრულწლოვანი არ შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე შუალედში. არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე, აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.[85]

ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის და არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის

[82] დირექტივა 2012/29/EU მუხლი 10 (1).
[83] ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 31 (1, გ).
[84] იქვე, მ52 (4).
[85] იქვე, მ.52.

შემთხვევაში სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა/დაკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.[86]

ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხსაც. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლის, ხოლო გამოძიების სტადიაზე – ბრალდების მხარის ინიციატივით, უზრუნველყოფილია საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობაც. ასევე, განსაზღვრულია ფსიქოლოგის როლი ამ პროცესში - „ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას".[87]

განსაზღვრულია საერთო ნორმები გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობასთან დაკავშირებით, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვნებთან მიმართებაში - „არასრულწლოვნის გამოკითხვისას/დაკითხვისას საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას".[88] თუმცა, ცალკეა განსაზღვრული ის შემთხვევები, როცა არასრულწლოვანი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე ან მსხვერპლი. ამ შემთხვევაში, გამოკითხვისას/დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო ან ვიდეოჩაწერა. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება).[89] საპროცესო მოქმედებას, არასრულწლოვანი დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, ესწრება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.[90]

- **მონიტორინგის შედეგები**

როგორც ადგილობრივი კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს ზოგად რეგულაციებს, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე მოწმე/დაზარალებულ ბავშვების დაკითხვასთან დაკავშირებით. თუმცა არსებული ზოგადი სტანდარტების გარდა, აღნიშნული დოკუმენტები ადგენენ უფრო მაღალ მოთხოვნებს მოწმე/დაზარალებულ

[86] იქვე,მ.52
[87] იქვე, მ.23
[88] იქვე, მ.52.
[89] იქვე, მ.52.
[90] იქვე, მ.52 (8).

დაკითხვის პროცესთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ამ პროცესის შეფასება განხორციელდა მოწმე/დაზარალებული ბავშვების დაკითხვის დაკვირვების გზით.

მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების დაკითხვის პროცესის ანალიზი განხორციელდა 10 სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგად. აქედან 6 შემთხვევაში სასამართლო განხილვის პროცესში დაიკითხა არასრულწლოვნებს შორის ფიზიკური დაპირისპირების (ძარცვის, მკვლელობის) მოწმე არასრულწლოვანი, 2 შემთხვევაში ოჯახური ძალადობის მოწმე არასრულწლოვანი, ოჯახურ ძალადობაში დაზარალებული ერთი არასრულწლოვანი და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მცირეწლოვანი გოგონა.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მოწმე/დაზარალებული ბავშვები ხშირ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულის/ძალადობის ერთადერთ მოწმეს წარმოადგენენ და მათი დაკითხვა საგამოძიებო პროცედურების დროს მთავარი მტკიცებულების მიღების წინაპირობაა. თუმცა ამგვარი ინფორმაციის მიღება არ უნდა განხორციელდეს არასრულწლოვანის ტრავმატიზაციისა და ვიქტიმიზაციის ხარჯზე. იდეალურ შემთხვევაში, მოწმე/დაზარალებული ბავშვების მიერ განცდილი მოვლენების აღდგენა და მათ შესახებ განცხადება უნდა მოხდეს ყველაზე ფრთხილი წესით.

ამ მიზნიდან გამომდინარე კი მოწმე/დაზარალებული ბავშვების დაკითხვა მნიშვნელოვანია განხორციელდეს სპეციალიზირებული პროფესიონალების მიერ, რომლებიც შესაბამისად არიან გადამზადებულები ბავშვის მეხსიერებისა და მეტყველების უნარებში, კარგად აცნობიერებდნენ მათი არასრულწლოვნების კომუნიკაციის სტილს, უნარებს, განვითარების დონეს, ჩაგონებადობის საკითხებს და ხელმძღვანელობენ სპეციალური ინსტრუმენტებით. ამ მიმართულებით შემუშავებულია ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ნაციონალური ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება დაზარალებული/მოწმე ბავშვებისგან მაქსიმალურად სრული და სარწმუნო ჩვენების მისაღებად.[91]

მოსამართლის და დაკითხვის მწარმოებელი პირების მიერ ბავშვისთვის საკუთარი თავის წარდგენა და შეხვედრის/დაკითხვის მიზნის განმარტება

სასამართლო დარბაზი არასრულწლოვანი პირისთვის ჩვეულებრივი გარემოსაგან რადიკალურად განსხვავებულ სივრცეა და ამ სივრცეში სხვა ადამიანების (შეიძლება მისთვის ახლობელის ან ნაცნობის) დანაშაულში მამხილებელ ფაქტებზე საუბარმა შესაძლოა ბავშვში გამოიწვიოს არა მხოლოდ შფოთვა და დაძაბულობა, არამედ ძლიერი სტრესი, განმეორებით მსხვერპლად გახდომის ძლიერი შიში და სხვა რისკ ფაქტორები, რაც თავისთავად დამაზიანებელია არასრულწლოვანისთვის და ასევე არსებით გავლენას შეიძლება ახდენდეს მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შინაარსზე და სანდოობაზე.

[91] „დაზარალებული და მოწმე ბავშვთან ურთიერთობის გზამკვლევი“, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფონდი, 2017 წელი; გვ. 29;

ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანი წინასწარ იცნობდეს გარემოს, სადაც მისი დაკითხვა განხორციელდება, ასევე პირებს, ვინც ამ დაკითხვის პროცესს აწარმოებს. თუ მოწმე/დაზარალებული ბავშვი თანხმობას აცხადებს, მიზანშეწონილია სასამართლო დარბაზში დაკითხვამდე მან გაიცნოს მოსამართლე და პროცესის სხვა მონაწილეები. აღნიშნული, ერთი მხრივ, შეამცირებს სტრესის ხარისხს, რომელიც სასამართლო დარბაზში დაკითხვისას შეიძლება მიიღოს და, მეორე მხრივ, კარგი შესაძლებლობაა მოსამართლისთვის და დაკითხვის მწარმოებელი პირებისათვის წინასწარ განსაზღვრონ არასრულწლოვნის სასაუბრო ენა და კომუნიკაციის სტილი, დაადგინონ არასრულწლოვნის მიერ გამოყენებული ტერმინები და შეთანხმება მოხდეს ძირითად წესებზე: არასრულწლოვანმა მის მიმართ დასმული შეკითხვების დროს მოითხოვოს დამატებითი განმარტება, შეუძლია თქვას „არ ვიცი“ და სხვა.

მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვთან წინასწარ შეხვედრას ადგილი ფაქტობრივად არ ჰქონია. მეტიც, პროცესში მონაწილე მხარეები თითქმის არასდროს არ ახდენდნენ შეხვედრის მიზნისა და არსის განმარტებას, არასრულწლოვნისთვის დაკითხვის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მხოლოდ რამდენიმე პროცესზე გაეცნო მოსამართლე და პროკურორი არასრულწლოვან მოწმე/დაზარალებულს. სამ შემთხვევაში მოხდა დაინტერესება ბავშვის საყვარელი საქმიანობით, დაისვა შეკითხვები სკოლისა და საგნების შესახებ, რაც იმ ნაწილობრივ დადებითად აისახა კიდეც ბავშვების დაკითხვის პროცესზე. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ოფიციალურ მიმართვებს, თქვენობით ფორმას და პირდაპირ კითხვა-პასუხის პროცესის დაწყებას.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგონას დაკითხვის მონიტორინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ მოსამართლე ეცადა ბავშვს თავი კომფორტულად ეგრძნო, ესაუბრა სკოლაზე, საყვარელ საგნებზე, რა საჩუქრის მიღება უყვარს დაბადების დღეზე და სხვა. ამასთან, განუმარტა, რომ არავის მისცემდა მისთვის წყენის უფლებას და სხდომაში მონაწილე პირებს მოუწოდა ყოფილიყვნენ ყურადღებით, რომ დაკითხვის დროს რამე ისეთი არ გაპარულიყო.

გამოიკვეთა შემთხვევა, როცა არასრულწლოვან გოგონას დაკითხვისას, პროკურორმა მოწმეს მეგობრული ტონალობითა და გასაგები ტერმინოლოგიით განუმარტა დაკითხვის ქრონოლოგია, რომ ჯერ თავად დაუსვამდა შეკითხვებს, შემდგომ კი ადვოკატი; აუხსნა, რომ უნდა ეპასუხა მხოლოდ იმ კითხვებზე, რომელზეც პასუხი იცოდა. დაკითხვის დასაწყისში პროკურორი შეეცადა გაერკვია, თუ რა იყო არასრულწლოვანის ჰობი, რითი ერთობოდა თავისუფალ დროს, რისი კეთება უყვარდა. პროკურორისგან განსხვავებით, ადვოკატებმა ამ პროცესში, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყეს დაკითხვა.

გაცნობის ასეთივე პოზიტიურ მაგალითს ჰქონდა ადგილი არასრულწლოვნებს შორის ფიზიკური დაპირისპირების მსხვერპლის სასამართლო სხდომის შემთხვევაშიც:

- პროკურორი: რომელ სკოლაში სწავლობ (სახელი)? და რომელ კლასში ხარ?
- დაზარალებული: მე-12-ში გადავედი.
- პროკურორი: ანუ წელს ამთავრებ და აბარებ ხომ?
- დაზარალებული: დიახ;
- პროკურორი: რაზე გინდა რომ ჩააბარო?
- დაზარალებული: ტურიზმზე ვფიქრობ;
- პროკურორი: ანუ ეს სფერო არის, რაც გაინტერესებს და რასაც გაყვები და საბოლოო ჯამში რა მიმართულებით? ჰობი რა არის შენი?
- დაზარალებული: ცეკვა მიყვარს;
- პროკურორი: ქართული ცეკვა თუ..?
- დაზარალებული: ქართული.
- პროკურორი: ძალიან კარგი. (სახელი) მოგეხსნა დაძაბულობა თუ კიდევ ნერვიულობ?
- დაზარალებული: ვნერვიულობ.

- პროკურორი: (სახელი) მე დაგისვამ რამდენიმე შეკითხვას და შენ რაც იცი ზუსტად გამეცი იმაზე პასუხი, არ შეეცადო, რომ გამოიცნო პასუხი, ან არ გქონდეს იმის შიში, რომ ვაიმე ამას თუ ვერ გავცემ პასუხს დიდი პრობლემა შეიქმნება. აი მაგალითად, მე რომ დაგისვა კითხვა რა ჰქვია ჩემს ძაღლს, იცი? არა ხო? შესაბამისად არც უნდა შეეცადო რომ მიპასუხო და გამოიცნო. შესაბამისად, რაც იცი ფაქტთან დაკავშირებით მიპასუხე. თუ რამე არ გახსოვს იმაზეც დააფიქსირე, რომ არ გახსოვს.

აღნიშნულისგან განსხვავებით, ოჯახური ძალადობის მოწმე 7 წლის ბიჭის დაკითხვისას პროკურორმა საკუთარი თავი წარადგინა მოკლედ, ფაქტიურად მხოლოდ სახელით და გვარით. გარდა ამისა, დანაშაული შეეხებოდა ოჯახში ძალადობას და მოწმე/დაზარალებულის გახსნის და მასთან ურთიერთობაში შესვლის მიზნით პროკურორმა პირდაპირ შეკითხვა დასვა ოჯახზე.

ამრიგად, იმ მიზნით, რომ შემცირდეს დაკითხვასთან დაკავშირებული სტრესული ფაქტორები და შესაძლებელი იყოს ბავშვთან ახლო, ნდობითი ურთიერთობის დამყარება, მისი შეგრძნებებისა და აზრების გაგება, მნიშნელოვანია, რომ მოსამართლე და კითხვის დამსმელი მხარეები აცნობიერებდნენ არასრულწლოვნების მიერ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებულ აღწერილ ამ და სხვა საკითხებს და გააჩნდეთ კონკრეტული გეგმა მათ შესამცირებლად. კერძოდ, არსებობდეს სასამართლო სხდომამდე შეხვედრის ჩატარების შესაძლებლობა. მოსამართლეს მოწმე/დაზარალებული ბავშვებისთვის სტრესის შემცირების მიზნით შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ფორმალობები: გაიხადოს მანტია, ნება დართოს მიმართოს მას არაფორმალურად/სახელით, ნება დართოს განახორციელოს აკრძალული ქცევა (მაგ.: ფეხზე ადგომა, სასამართლო დარბაზში სიარული), პასუხის გაცემა ჩურჩულის საშუალებით ან

თვალებში კონტაქტის (განსაკუთრებით აუტისტური სპექტრის ბავშვების შემთხვევაში) გარეშე და სხვა[92]. ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვს მისთვის გასაგები ენითა და ფორმით განუმარტონ დაკითხვის წარმოების არსი, მიზანი და მნიშვნელობა, დაკითხვის წარმოების ქრონოლოგია. აუცილებელია დაკითხვის მწარმოებელი პირის მიერ საკუთარი თავის წარდგენა და ბავშვის გაცნობა.

დაკითხვისას შესვენებებით სარგებლობა

დაკითხვის მიმდინარეობისას ბავშვი საჭიროებს დამატებითი შესვენებებით სარგებლობას. დამატებითი შესვენებები შეიძლება იყოს როგორც წინასწარ დაგეგმილი, ასევე მოწმის დასტრესვის/დაბნეულობის დროს გამოყენებული ან პროცესში მონაწილე სხვა მხარის მიერ მოთხოვნილი.

ზოგადად ბავშვებში კონცენტრაციის უნარი კლებულობს ყოველი 15 წუთის შემდეგ, მიუხედავად იმისა, ეს თვალსაჩინოა თუ არა. უმეტეს შემთხვევებში ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა გაგრძელდეს ერთ საათზე მეტ ხანს. თუ ასეთი მოწმე ითხოვს შესვენებას ეს ხშირად უკიდურეს ზღვარზე ყოფნის დროს ხდება.[93]

სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ უმეტეს შემთხვევაში მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების დაკითხვის დროს შესვენებით სარგებლობა არ მომხდარა. მართალია, მოსამართლის/პროკურორის მხრიდან ხდება შეთავაზება, თუმცა აღნიშნული ისეთ ხასიათს ატარებს, რომ არასრულწლოვანმა თავად უნდა მოითხოვოს შესვენება საჭიროების შემთხვევაში. არასრულწლოვნები ძირითადად უარს აცხადებენ შესვენებით სარგებლობაზე, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ ერიდებათ, ან დაკითხვის მალე დასრულების სურვილი აქვთ, ან სხვა გარემოების გამო. დაკითხვის მწარმოებელი პირის მთავარი არგუმენტი, ამ შემთხვევაში დაკითხვის მცირე ხანგრძლივობაა. თუმცა რეალურად მოსამართლისა და პროცესში მონაწილე სხვა მხარეების მიერ არ ხდება ბავშვის ემოციური მდგომარეობის შეფასება მაშინ, როდესაც შესაძლოა არასრულწლოვანს არ ეტყობოდეს ძლიერი გადაღლილობა, სტრესი. მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილ ორ შემთხვევაში, თვალსაჩინოდ გამოხატული გადაღლილობისა და აღელვების დროსაც კი არ მომხდარა მოსამართლის მიერ შესვენების გამოყენება.

ძარცვის ფაქტის მოწმე არასრულწლოვნის დაკითხვის მონიტორინგის ოქმში მითითებულია, რომ დაკითხვა მიმდინარეობდა საკმაოდ აქტიურ და ინტენსიურ რეჟიმში და გაგრძელდა ფაქტიურად ერთი საათი და 35 წუთი, რაც საკმაოდ დამღლელი იყო. ამასთან, არასრულწლოვანი დაკითხვის დაწყებას ელოდებოდა დაახლოებით 2 საათი და 15 წუთის განმავლობაში. ასევე ნიშანდობლივია, რომ დაკითხვა გაგრძელდა სამუშაო საათების

[92] "Pre-trial case Management Guideline", Benchmark, December 2018; page 19.
[93] "Pre-trial case Management Guideline", Benchmark, December 2018; page 17.

შემდგომაც 18:50 საათამდე. საერთო ჯამში არასრულწლოვანს ეტყობოდა დაღლილობა და კანონიერმა წარმომადგენელმა მიუთითა კიდეც დაბალ ხმაზე ამის შესახებ.

ასევე არ გამოცხადებულა შესვენება არასრულწლოვნებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების მსხვერპლი გოგონას შემთხვევაშიც. მიუხედავად დაძაბულობისა და შფოთვისა, დაკითხვა სრულად ჩატარდა. მხოლოდ ერთხელ ისიც თავად მოწმე/დაზარალებულის თხოვნით, როდესაც დაკითხვის დაწყებიდან 45 წუთი იყო გასული, გამოყენებული იყო 5 წუთიანი შესვენება.

სექსუალური ხასიათის დანაშაულის მსხვერპლი გოგონას დაკითხვის პროცესში მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა, რომ დაზარალებულისთვის მაშინაც არ შეუთავაზებიათ შესვენება, როდესაც მან პროკურორის დაკითხვის შემდეგ იკითხა, რომ დაკითხვა ხომ არ დამთავრდაო. ამ შემთხვევაში მას მხოლოდ ის განუმარტეს, რომ დაკითხვა მალე დასრულდებოდა. აქვე ნიშანდობლივია, რომ დაკითხვისას მცირეწლოვანმა მოითხოვა დედა, რაზეც ფსიქოლოგმა აუხსნა, რომ დედა იქვე იყო, მალე გავიდოდნენ და ჩაეხუტებოდა. გარდა ამისა, 35 წუთიანი დაკითხვის მიმდინარეობისას, შუალედში ბავშვმა საპირფარეშო მოითხოვა, რის გამოც დაკითხვა რამდენიმე წუთით შეჩერდა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს უნდა გააჩნდეს მეტი მოქნილობის მიცემის საშუალება, რათა მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნებმა გამოიყენონ შესვენება ისეთი გზით, რომელიც მათ მეტად დამშვიდების საშუალებას მისცემს. სასამართლო არ უნდა ეყრდნობოდეს მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვნის თხოვნას/მოთხოვნას, რადგან შესაძლოა ის იყოს შეშინებული, დამორცხვებული ან სურდეს უბრალოდ მალე დასრულდეს ყველაფერი. არამედ, პროცესის წარმმართველმა პირმა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და სიტუაციის შეფასებით თავად უნდა გადაწყვიტოს შესვენების საჭიროება, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამას თავად არასრულწლოვანი არ ითხოვს (მაგალითად, დააწესოს ავტომატური მოკლე შესვენებები და სხვა).

დაკითხვის პროცესი

არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესში ბევრ გარემოებას ენიჭება მნიშვნელობა, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ინფორმაციის მიღების, ასევე ბავშვის რეტრავმატიზირების/მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების ნაწილში. არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულებს უჭირთ მიაწოდონ სასამართლოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათი გრძნობებისა და ფიქრების ან შინაარსის შესახებ ან მიაწოდონ საკმარისად დეტალიზირებული ინფორმაცია.

როცა არასრულწლოვნები მოწმე/დაზარალებულები ჩვენებას იძლევიან, მათი როლი განსხვავდება უფროსებთან ჩვეულებრივი ურთიერთობისაგან. მათ უჭირთ იმის გაგება, რომ სხვა ადამიანებს იგივე ცოდნა არ აქვთ და რომ ისინი გარკვეულწილად „ექსპერტების“ როლში

იმყოფებიან იმ საკითხებთან მიმართებაში, რასთან დაკავშირებითაც იკითხებიან. ბავშვები თვლიან რომ დიდებმა იციან რაც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ იმყოფებოდნენ.

ზოგიერთი არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის შემთხვევაში, მათ იციან ის შედეგები, რაც შეიძლება გამჟღავნებას მოჰყვეს. განსაკუთრებით სტრესული გამოცდილების შემთხვევაში შეიძლება უარი თქვან პასუხის გაცემაზე სხვადასხვა მიზეზის გამო:

- მონაწილე ადამიანებთან ახლო ურთიერთობა;
- მონაწილე ადამიანების მიმართ ერთგულება;
- შურისძიების ან მიტოვების შიში;
- დანაშაულის, სირცხვილის განცდა;
- ფიქრი, რომ მათ სურვილებს და ქმედებას უარყოფითი გავლენა ექნება სხვებზე;
- ფიქრი, რომ არ დაუჯერებენ ან დაისჯებიან;
- ოჯახის დანგრევასთან დაკავშირებული შფოთვები[94].

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაკითხვის პროცესში კითხვების შინაარსის სწორად განსაზღვრის, ფორმულირების და გადმოცემის საკითხებს, რათა მაქსიმალურად მოხდეს მოწმე/დაზარალებულისაგან სწორი და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება ბავშვისთვის დამატებითი ზიანის მიყენების გარეშე.

ფარული დადანაშაულების შემცველი კითხვები

ბავშვის მიმართ დასმული შეკითხვები სასამართლო დაკითხვის დროს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირველ რიგში მისაღები ინფორმაციის სანდოობას და მეორე კუთხით მოწმე/დაზარალებული ბავშვის მიერ მიღებული სტრესის ხარისხს. აქედან გამომდინარე, მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილებული იყო შეკითხვების ტიპებზე, რომელიც განსაკუთრებული რისკის შემცველია მოწმე/დაზარალებული ბავშვის დაკითხვის პროცესში, როგორც ინფორმაციის სანდოობის ისე ბავშვისთვის სტრესის მიყენებისა და რეტრავმატიზაციის მიმართულებით. შეკითხვები, რომელიც შეიცავენ ***სიტყვას „რატომ“*** შესაძლოა იყოს ფარული დადანაშაულების შემცველი. ხშირ შემთხვევაში ბავშვისთვის უცნობია მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის/ძალადობის განზრახვა[95].

არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულთა დაკითხვის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში კითხვის დამსმელი მხარე მიმართავს მოწმე/დაზარალებული ბავშვის დადანაშაულებას. მაგალითად, თანატოლის ძარცვის მოწმე არასრულწლოვანის დაკითხვისას იყო დასმული კითხვები, იმის შესახებ თუ რატომ არ მიმართეს პოლიციას ან სხვა ვინმეს, რაც აშკარად შეიცავდა ვიქტიმიზაციის საფრთხეს, რომ მოწმეს საკუთარი თავისთვის დაებრალებინა აღნიშნული დამდგარი შედეგი. ასეთ შეკითხვას

---

[94] "Questioning Children", Benchmark, March 2019; page 22;

[95] "*დაზარალებულ და მოწმე ბავშვთან ურთიერთობა - გზამკვლევი"; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2017 წელი;* გვ.22-24.

შეიძლება გამოეწვია და გაემწვავებინა არასრულწლოვანი მოწმის განცდა, რომ მას თავის დროზე პოლიციისთვის ან მამისთვის, რომ მიემართა მისი მეგობრის სიკვდილი თავიდან იქნებოდა აცილებული.

<u>არასრულწლოვნების მხრიდან თანატოლის ძარცვის მოწმე არასრულწლოვნის საქმე:</u>

- ადვოკატი: „რატომ ვერ შედიოდით მოედანზე?“
- მოწმე: „შემეშინდა“

- ადვოკატი: „X-ის (დაზარალებულის) ოჯახს ჰქონდა თუ არა რაიმე უკმაყოფილება რატომ არ დაეხმარეთ X-ს?“

- ადვოკატი: „თქვენ ოთხი პიროვნება იმყოფებოდით X-თან ერთად და არ გამოესარჩლეთ იმიტომ რომ გეშინოდათ?“
- მოწმე: „დიახ“
- ადვოკატი: „ამის შემდგომ როდესაც გააცნობიერეთ, რომ თქვენს მეგობარს ფიზიკურად ვერ ეხმარებით, მორალურად ვერ ეხმარებით, არც ერთ თქვენგანს არ გიფიქრიათ, რომ დაგერეკათ პოლიციაში, ან ვიღაცისთვის გეთქვათ?“
- მოწმე: „გავიფიქრე რომ მამაჩემისთვის მეთქვა, მაგრამ არ მითქვამს იმიტომ, რომ თვითონ X-ს არ უთქვამს თავისი მშობლებისთვის. არც მყავს ისეთი დიდი ადამიანი, რომელიც ამას მოაგვარებდა ქუჩურად.“

მსგავსი რისკის შემცველი კითხვები დასვა ასევე მოსამართლემ ოჯახურ ძალადობაში დაზარალებული არასრულწლოვნის საქმეში:

- მოსამართლე: „ორი შემთხვევა იყო და მამა ორივე დღეს ნასვამი იყო? და პირველ შემთხვევაში რატომ არ დარეკეთ პოლიციაში, თუ თქვენ არ თვლიდით, რომ ეს პოლიციის საკითხი იყო?“

- მოწმე: „არ ვიცი.“

მეორადი ვიქტიმიზაციის რისკი გამოიკვეთა ასევე არასრულწლოვანი გოგოების ძალადობის მსხვერპლის დაკითხვის პროცესშიც. კერძოდ, ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა შესავალ სიტყვაში დააფიქსირა პოზიცია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება იყო აფექტურ მდგომარეობაში, ვინაიდან ამას წინ უძღოდა დაზარალებულის მიერ სოციალურ ქსელში ბრალდებულის პატივისა და ღირსების

შემლახველი ფოტოსურათისა და ტექსტის გამოქვეყნება. ადვოკატის მითითებით, აღნიშნული გახდა საკმარისი იმისთვის, რომ გამოეწვია აგრესია ასეთი უმსგავსოების ჩამდენი პირისადმი, და რომ დანაშაული პროვოცირებული იყო თვით დაზარალებული პირის მიერ. აღნიშნული პოზიციის გამყარების მიზნით დაზარალებულის დაკითხვისას ამ ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვები ცალსახად შეიცავდნენ მეორადი ვიქტიმიზაციის რისკებს:

- ადვოკატი: „რატომ გეშინოდა X-ის (ბრალდებულის)? რა ჩაიდინე ისეთი რომ... ეხლა მე მაგალითად, ვიღაცის მეშინია, ამხელა ქალი ვარ, მაგრამ შიშის გრძნობა მეც მაქვს, თუ რამე დავაშავე, ან თუ რამე ჩავიდინე ისეთი რაღაც, რომ შიში გამოიწვიოს. აი როგორ ფიქრობთ, რატომ გეშინოდათ X-ის (ბრალდებულის)?“
- მოწმე: „ნანახი მქონდა X-ის (ბრალდებულის) ვიდეო, სადაც ბავშვს ურტყავს და მით უმეტეს ...“
- ადვოკატი: „აი კონკრეტულად, მეც შეიძლება შემეშინდეს X-ის (ბრალდებულის) ხომ, მაგრამ მე არაფერი არ ჩამიდენია, ამიტომ რა გააკეთე თუ შეიძლება თქვა?“
- მოწმე: .....
- ადვოკატი: „ან ხომ არ მიწერე რამე ცუდი სიტყვა, ან ხომ არ ჩაიდინე რაღაც ცუდი ქმედება, საქციელი, ან ვინმეს ხომ არ დაელაპარაკე. რა გააკეთე ისეთი, რომ შეგეშინდა X-ის (ბრალდებულის)?
- მოწმე: ....
- ადვოკატი: „კარგი მაშინ გაგიმეორებ: ჩაიდინე რამე ისეთი, რომ შიში გამოეწვია, აი X-ი (ბრალდებული) რომ შემხვდება რაიმე პასუხს მომთხოვს, ნეტა არ შემხვდეს?“
- მოწმე: „ასეთი არაფერი ჩამიდენია“

იმავე საქმეში მეორე ბრალდებულის ადვოკატის დაკითხვაც შეიცავს დაზარალებული არასრულწლოვნის დადანაშაულებას:

- ადვოკატი 2: კარგი, როგორც გავიგე (ბრალდებულის სახელი) გესაუბრებოდა იმაზე, რომ მისი შეყვარებულისთვის თავი დაგენებებინა. თქვენ ამაზე უთხარით, რომ არ ხვდებოდით (ბრალდებულის შეყვარებულის სახელი) და უკვე თავი გქონდათ დანებებული, ხომ ასეა?

- მოწმე: კი

- ადვოკატი 2: კარგით მაშინ რაღატო მოგივიდათ დაპირისპირება და ჩხუბი, მაშინ რაღატო მოგაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა თუკი თქვენ ყველაფერზე დათანხმდით? თქვენი მხრიდან ხომ არ იყო აგრესიული..?

- მოწმე: არა.

- ადვოკატი 2: თქვენ შეეცადეთ რომ გაქცეულიყავით და თავი დაგეღწიათ ამ სიტუაციიდან?
- მოწმე: კი
- ადვოკატი 2: რატომ არ დაიძახეთ თუ კი ხალხი იყო გარშემო?
- მოწმე: გვერდზე იყო რაღაც მომხდარი, პოლიციაც იყო და ...
- ადვოკატი 2: ანუ იძახდით და თქვენი ხმა ვერ გაიგონეს? თქვენი მეგობარი (სახელი) ხომ იქვე იყო და ის არ შეეცადა რომ დაგხმარებოდათ, ან ვინმესთვის დაეძახა?
- მოწმე: არ ვიცი მე, არ მახსოვს.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანის გამოკითხვის პროცესში ასევე ადგილი ჰქონდა მშობლის დადანაშაულების შემთხვევასაც:

- ადვოკატი: „დედიკოს ყველაფერი მოუყევი?“
- დაზარალებული: „კი“;
- ადვოკატი: „მერე არ დაგათვალიერა?“
- (კითხვა ვერ გაიგო ბავშვმა);
- ადვოკატი: „არ ჩაგხადა „ტრიკო“ და არ ნახა? აბა სხეული ვინ დაგითვალიერა?“

ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა

პრობლემას წარმოადგენს და გარკვეულ რისკებს ქმნის არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის დაკითხვის პროცესში ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. მსგავსი შეკითხვების გამოყენებისას დამკითხველი ასახელებს დეტალს, მოვლენას ან ქმედებას, რომელიც ბავშვს არ უხსენებია და მის დადასტურებას ან უარყოფას მოითხოვს, რითაც ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე. ამგვარი შეკითხვებით მიღებული პასუხების სისწორე სერიოზულ ეჭვს იწვევს. ამის მიუხედავად დამკითხველები პრაქტიკაში არცთუ იშვიათად იყენებენ ჩამაგონებელ/მიმანიშნებელ შეკითხვებს იმ მიზეზით, რომ ვერ მიიღეს ბავშვისგან ამომწურავი ინფორმაცია[96].

მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოიკვეთა, რომ უმეტეს შემთხვევაში კითხვის დამსმელი მხარეების მიერ ხდებოდა მიმართულების მიმცემი შეკითხვების გამოყენება, რაც ზოგჯერ კითხვის აცილების მიზეზიც გამხდარა. მაგალითად, არასრულწლოვნებს შორის

[96] „მომიყევი რა მოხდა, დაზარალებული და მსხვერპლი ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა - სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის“; საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2014 წელი; გვ. 69.

ფიზიკური დაპირისპირების მოწმის დაკითხვისას როგორც პროკურორის, ასევე ადვოკატის მიერ არაერთგზის განხორციელდა მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. კერძოდ, ვიდეოკადრების დემონსტრირების დროს არასრულწლოვან მოწმეს ეკითხებოდნენ: „X (სახელი და გვარი) იყო ხომ?"; „დაგჭრა და გაიქცა ხომ?"; „თქვენი ნაცნობია Y-ი (გვარი) ხომ?"

გარდა ამისა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის დაკითხვისას ბრალდებულის ადვოკატმა ჯვარედინი დაკითხვა დაიწყო მიმანიშნებელი შეკითხვით, რომელიც ამავდროულად არ გამომდინარეობდა ბავშვის მიერ უკვე მიწოდებული ინფორმაციიდან. კერძოდ, კითხვა კონკრეტულმა პირმა ხელი როდის დაგახატა მუცელზეო. ეს შეკითხვა ბავშვმა გაიკვირვა და უთხრა არ დაუხატავსო, რასაც კვლავ მოჰყვა ადვოკატის ჩაკითხვა - „არ დაუხატავს?". მხოლოდ ამის შემდგომ მიუთითა პროკურორმა, რომ მსგავსი რამ ბავშვს არ უთქვამს.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ამავე დაკითხვის დროს პროკურორის მხრიდან ასევე ადგილი ჰქონდა ჩამაგონებელი შეკითხვების დასმას, მაშინ როდესაც ბავშვს ამის შესახებ უკვე მოყოლილი ჰქონდა. მაგალითად, ბავშვმა მოყვა ბრალდებულმა როგორ გახადა მას, როგორ ჩაიხადა თავად შარვალი და ტრუსი, როგორ მიადო სასქესო ორგანო, როგორ მოაკიდებინა და ამის შემდგომ კვლავ დაუსვა შეკითხვები „შიშველი ჩაგეხუტა ანუ ხო?", „ჩაწეული ჰქონდა ტრუსი ანუ ხო?" და სხვა.

არასრულწლოვანის დაკითხვის განხორციელებისას მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად თავიდან იყოს აცილებული მიმანიშნებელი კითხვების დასმა.

კითხვის გამეორება

ყურადღება უნდა გავამახვილოთ შეკითხვის გამეორებასა ან განმეორებითი შეკითხვების გამოყენებაზე, რადგანაც არასრულწლოვანმა შესაძლოა იგრძნოს, რომ მის მიერ გაცემული პასუხები არ არის „სწორი" ან „სასურველი" და შესაძლოა გადათქვას თავისი ნათქვამი/თავდაპირველი ჩვენება.

რაც უფრო მეტად ხდება შეკითხვების გამეორება მით უფრო იზრდება ბავშვის შინაგანი წინააღმდეგობის განცდა. საუკეთესო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში თუ შეკითხვის გამეორება აუცილებელი ხდება: ა) საჭიროა განმარტება თუ რატომ ისმევა შეკითხვა ხელმეორედ (მაგალითად, იმისთვის რომ გადაამოწმოთ თუ სწორად იყო თქვენს მიერ გაგებული ადრინდელი პასუხი); ეს ამცირებს ზეწოლას, რომელიც შესაძლოა არასრულწლოვანმა იგრძნოს და შეცვალოს თავისი თავდაპირველი პასუხი. ბ) თავიდან უნდა იქნეს აცილებული განმეორებით დახურული ან მიმანიშნებელი შეკითხვის დასმა (რომელიც კი ან არა პასუხს მოითხოვს ან არის მიმანიშნებელი); გ) საჭიროა შევამციროთ განმეორებითი შეკითხვების რაოდენობა[97].

[97] „Questioning Children, Benchmark", March 2019; page 14.

შეკითხვის გამეორების უარყოფითი ეფექტი განსაკუთრებულად გამოიკვეთა ოჯახში ძალადობის მოწმე/დაზარალებულის დაკითხვის მონიტორინგის პროცესში, სადაც დაკითხვის ამ ეტაპის ბოლოს არასრულწლოვანმა შეცვალა თავისი თავდაპირველი პასუხი:

„- პროკურორი: ეხლა შენ რაც მოგვიყევი მძიმე მოსასმენია და მით უმეტეს, მძიმე გადასატანია ზოგადად ყოველდღიურ ცხოვრებაში. რა შეგიძლია გვითხრა ამასთან დაკავშირებით. შენთვის ემოციურად .. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ შენი შეფასებით ამ ყველაფრის გამო რას განიცდი და რას გრძნობ?

- მოწმე: .....
- პროკურორი: კარგად გრძნობ თავს? ცუდად გრძნობ თავს?
- მოწმე: ცუდად;
- პროკურორი: შენთვის რამდენად მარტივად ან მძიმედ ასატანია ეს ყველაფერი?
- მოწმე: მძიმედ ასატანია იმიტომ, რომ როცა უყურებ, რომ დედას ესე ექცევა მამა, არ გაგიხარდება, რა თქმა უნდა;
- პროკურორი: ამ საქმეზე მე გამოვიტანე დადგენილება და დაზარალებულად გცანი, თვლი, რომ ამ დანაშაულის გამო, თუ რაც არის, შენ ზარალდები, როგორც ბავშვი და ამ ყველაფრის შემსწრე?
- მოწმე: არა;
- პროკურორი: არ თვლი, რომ ეს ყველაფერი შენ ზიანს გაყენებს?
- მოწმე: ანუ პირადად მე არა;
- პროკურორი: აი რო ტირიხარ და რომ განიცდი ეს რას ნიშნავს?
- მოსამართლე: მე მგონი გიპასუხათ ქალბატონო (სახელი). ხომ არ ვცდები ქალბატონო (ფსიქოლოგის სახელი)?
- მოწმე: ანუ ზუსტად ვერ გავიაზრე რა მკითხეთ, ანუ რა იგულისხმეთ ამაში;
- პროკურორი: იმ ფაქტით, რაც მოხდა თქვენ დაზარალდით თუ არა?
- მოწმე: არა, უბრალოდ მძიმედ...
- ფსიქოლოგი: უბრალოდ ვერ ხვდება დაზარალებულის ცნება რას ნიშნავს. ანუ შენ რომ ეხლა ტირიხარ, რომ განიცდი, იმ მომენტს რომ შეესწარი, შენზე ხომ აისახა ფსიქოლოგიურად, ხო განიცდიდი, აი ეს ნიშნავს დაზარალებულს, ანუ რაღაცას რომ განიცდი ამას და ნერვიულობ, აი მაგას ნიშნავს დაზარალებულად გრძნობა. ხომ გრძნობ დაზარალებულად რახან ესეთი რაღაცეები განიცადე?
- მოწმე: დიახ, დიახ;
- მოსამართლე: ზიანი თუ გადგება, ან ზიანი თუ მოგადგა ამით? ზიანი ხომ იცი რაც არის? აი ეხლა ლეპტოპი რომ დავარდეს, ხომ გატყდება ხომ დაზიანდება. მაგრამ ხომ შეიძლება შიგნით, რაღაც ისეთი გაუფუჭდეს, დაზიანდეს, მაგრამ გარედან არ ეტყობა. ხვდებით? მიმიხვდი რას ვამბობ? აი შიგნიდან ან გარედან რაიმე ზიანი მოგადგა?
- მოწმე: ანუ...

- მოსამართლე: შინაგანად რაიმე დაგიზიანდა?
- მოწმე: კი“.

ამრიგად, ერთიდაიგივე შეკითხვის რამოდენიმე პირისგან განმეორებით დასმით არასრულწლოვანმა საბოლოოდ შეცვალა თავისი თავდაპირველი ჩვენება, რის გამოც საბოლოოდ განსხვავებული შედეგი დადგა.

დახურული კითხვები

ისეთი კითხვების დასმის შემთხვევაში, რომელიც „კი“ ან „არა“ პასუხს მოითხოვს, ბავშვებს აქვთ მიდრეკილება გასცენ დადებითი პასუხი და დაეთანხმონ დამკითხველს. ასეთი შეკითხვები ბავშვზე ახდენს ზემოქმედებას და მან შესაძლოა დაასახელოს ისეთი ფაქტი, რომელსაც ადგილი არ ჰქონია და მის დადასტურებას ან უარყოფას მოითხოვს. ოჯახური ძალადობის მოწმის/მსხვერპლი არასრულწლოვნის დაკითხვისას:

„პროკურორი: ეს ხომ არ იყო დავუშვათ დედათქვენის მიმართ როგორი დამოკიდებულებით განპირობებული, როგორ ავხსნა ანუ... მესაკუთრული ან რაიმე ესეთი დამოკიდებულება ხომ არ იყო მამის მხრიდან?

- მოწმე: ვერ მივხვდი;
- პროკურორი: აი დავუშვათ ქალი უნდა იყოს სამზარეულოში ან რაიმე ესეთი?
- მოწმე: დიახ“;
- „მოსამართლე: და იმაზე ბრაზდებოდა რას ქვიაო რო გაგინებ მეპასუხებიო?
- მოწმე: დიახ“.

ღია შეკითხვების დასმა მეხსიერების სხვა პროცესებს ააქტიურებს და დახურულ კითხვებთან შედარებით განსხვავებულ პასუხებს მოითხოვს. ისინი მიმართულია გახსენებაზე. ამ გახსენებამ შესაძლოა გააქტიუროს ან მეტად ხელმისაწვდომი გახადოს დეტალები. ამრიგად, ბავშვმა საკუთარი ფიქრის პროცესით შეიძლება მეტი ინფორმაციის გახსენება შეძლოს, ვიდრე გარედან დასმული შეკითხვებზე პასუხის გაცემით (შესაძლოა ამ დროს გაიზარდოს მცდარი ინფორმაციის მიღების რისკი). შედეგად, ღია შეკითხვების გამოყენება მეტად განსაზღვრავს ზუსტი, დეტალური ინფორმაციის მიღებას, ვიდრე დახურული შეკითხვები. მაშინ როცა დახურული შეკითხვების დროს არასრულწლოვანმა უნდა მოარგოს შესაბამისი პასუხი დამკითხველის კითხვას, რადგან მისი კითხვა შეიძლება მოეჩვენოს ნაცნობად, მიზანშეწონილად. არსებობს მაღალი რისკი, რომ ბავშვი უბრალოდ დაეთანხმოს დამკითხველს, იმის ნაცვლად, რომ საკუთარი სწორი პასუხი შესთავაზოს ან შეასწოროს დამკითხველის შეცდომა.

პროფესიული ტერმინოლოგია, ბუნდოვანი და ჰიპოთეტური შეკითხვები

მოსამართლეები და ადვოკატები იყენებენ ისეთ სიტყვებს, ფრაზებს და გრამატიკას, რომელიც აღემატება ბავშვის აღქმას და მისი პასუხის მიხედვით არ არის ცხადი, გაიგო თუ არა ბავშვმა შეკითხვა. ამას გარდა, სტრესი გავლენას ახდენს ბავშვებისა და მოზარდების აღქმაზე, მეხსიერებასა და უნარზე პასუხი გასცეს შეკითხვას. ბავშვები იშვიათად მიუთითებენ მათ მიერ შეკითხვების ვერ გაგების შემთხვევებზე: სიმორცხვისა და ნერვიულობის გამო ან შესაძლოა ვერც აცნობიერებდნენ, რომ ვერ გაიგეს შინაარსი. შედეგად, ისინი ცდილობენ უპასუხონ შეკითხვებს, რომლის შინაარსიც არ ესმით[98].

უპირველესად მნიშვნელოვანია, რომ დამკითხველის მხრიდან_თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი ფრაზების გამოყენება, რადგანაც ისინი ართულებენ შეკითხვას და განსხვავდებიან არასრულწლოვნის სამეტყველო ენისგან. მაგალითად, მიზანშეწონილია შემცირდეს ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა, დამცველი, პროკურორი, მოწმე და სხვა. ფორმალური ლექსიკის გამოყენება არ არის მისაღები იმ შემთხვევაშიც, თუ ბავშვები იყენებენ ასეთ ფორმალურ სიტყვებს, შესაძლოა მათ მხოლოდ ნაწილობრივად ესმოდეთ შინაარსი ან სრულიად არასწორადაც კი, რასაც მივყავართ გაუგებრობამდე[99].

ოჯახური ძალადობის მოწმე არასრულწლოვანის დაკითხვის მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსამართლე მოწმისათვის გარკვეული უფლებების განმარტებისას იყენებდა ტერმინ „მხარეებს“, რაც 7 წლის ბავშვისთვის არ უნდა ყოფილიყო აღქმადი და გააზრებადი: „ამ შემთხვევაში კითხვები, რომლებიც შეიძლება რომ **<u>მხარეებმა</u>** დაგისვან, ეს ეხება მამასთან დაკავშირებულ ამბავს და სანამ კითხვებს დაგისვამენ **<u>მხარეები</u>** და სანამ რაღაცას მოგვიყვები, მანამდე უნდა გავარკვიოთ ერთი საკითხი, გინდა თუ არა მოგვიყვე ის, რის გამოც შეგაწუხეთ და მოგიყვანეთ სასამართლოში.“

ოჯახური ძალადობის მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნის საქმეში: - „რატომ გეკითხები იცი ანუ არის ესეთი სამართლებრივი ტერმინი გენდერული მოტივი, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია და უნდა გავარკვიოთ ჩხუბის მიზეზი და შელაპარაკების მიზეზი რა იყო? უბრალოდ უმიზეზოდ ეჩხუბებოდა თუ რაიმე მცირე მნიშვნელობის გამო: ხმა არ ამოიღო, შენი საქმე ეს არის (დიახო აქ უპასუხა), გარეთ რატომ გადიხარ, ასე რატომ გაცვია. ესეთი შემთხვევები თუ იყო?“

ასევე მნიშვნელოვანია თავიდან ავიცილოდ აბსტრაქტული ცნებები, ირონია, მეტაფორები და იდიომები, რომლებიც შესაძლოა იყოს დამაბნეველი.

<u>სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მცირეწლოვანი გოგონას საქმე:</u> - „პროკურორის მხრიდან დაფიქსირდა შემდეგი:

[98] “Questioning Children, Benchmark”, March 2019; page 3;
[99] „Questioning Children, Benchmark”, March 2019; page 10.

- რაც (მოძალადის სახელი) ამოიღო, როგორი იყო აღწერეო;
- ბავშვმა ხელით აღწერა ზომა, აი ამხელაო - დაამატა და ასევე თქვა - აი როგორიც ბიჭებს აქვთო;

აქ პროკურორს ჩაეცინასავით და შენ რა იცი როგორი აქვთ ბიჭებსო და აქ დაიმორცხვა ბავშვმა, და არ ვიციო“.

ასევე არაზუსტი ინფორმაციის გახსენებას მოითხოვს ბავშვისადმი ჰიპოთეტური შეკითხვების დასმა: მაგალითად ძარცვის მოწმის არასრულწლოვნის დაკითხვისას ადვოკატი ხშირად მიმართავს წარმოსახვით შეკითხვებს:

- ადვოკატი: „ეს ადამიანი რომ მეათე კვარტლელი ყოფილიყო და ანალოგიურად ცხოვრობდეს იმ უბანში სადაც თქვენ, შეძლებდით მის ამოცნობას?“
- ადვოკატი: „რომ გყოლოდათ ვინმე მიმართავდით დასახმარებლად?“

ასევე წარმოდგენას მოითხოვს არასრულწლოვნებს შორის ფიზიკური დაპირისპირების მსხვერპლი გოგონასთვის დასმული შემდეგი შეკითხვები:

- ადვოკატი: რამე ცუდი სიტყვა რომ ყოფილიყო გაგახსენდებოდათ? .....
- ადვოკატი: მე მედიცინის მუშაკი არ ვარ, მაგრამ ტვინის შერყევა თავის დარტყმის შედეგად ხდება ხოლმე?
- დაზარალებული: დიახ.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების მყარი საფუძველი შექმნა. სწრაფ მართლმსაჯულებასა და ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპზე ფოკუსირებით, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება-განხილვითა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული სუბიექტების მონაწილეობით სამართალწარმოების განხორციელება ნამდვილად ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის, მოწმისა და დაზარალებულის პროცესში მონაწილეობა ნაკლებ მატრამვირებელი და მაქსიმალურად სრულფასოვანი იყოს.

თუმცა, წარმოდგენილი ანგარიში ცხადად აჩვენებს, რომ სასამართლოების ინფრასტრუქტურა უმეტესწილად არ არის მზად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელებისთვის. სასამართლოებში არ არის დაცული კონფიდენციალურობის

პრინციპი, არ არის შექმნილი გარემო, რომელშიც ბავშვს მაქსიმალურად კომფორტულად, არადათრგუნულად და დაცულად აგრძნობინებდა თავს.

ხშირია სასამართლო განხილვების სხვადასხვა მიზეზით გადადებისა თუ სასამართლო პროცესის დაგვიანებით დაწყების შემთხვევები.

პროცესში მონაწილე პირების კვალიფიკაცია და უნარები ხშირად არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და არ არის ორიენტირებული ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვაზე. ბავშვის მხარდამჭერი სუბიექტების - კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი - ჩართულობა ხშირ შემთხვევაში ნომინალურია, ფსიქოლოგის ჩართულობა კი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში დაფიქსირდა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან ყოველთვის გასაგები ფორმითა და ენით არ ხდებოდა კომუნიკაცია. მათი კანონიერი უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნით არ ხდებოდა ყველა საჭირო ინფორმაციის, უფლება-მოვალეობის მარტივად, გასაგებად და დეტალურად განმარტება. თარჯიმნების კვალიფიკაცია თუ გულისხმიერება, რიგ შემთხვევებში, საეჭვო იყო. არ ხდებოდა პროცესის სინქრონულად და სრულად თარგმნა.

ხშირ შემთხვევაში, დამკითხავი პირის მხრიდან არ არის უზრუნველყოფილი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა და მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, რათა სასამართლოზე ბავშვისგან ინფორმაციის/ჩვენების მიღება განხორციელდეს მისთვის ნაკლები ზიანის მიყენების ფონზე, არ მოხდეს მისი რეტრავმატიზაცია, რაც შედეგად სანდო და მდიდარი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას წარმოადგენს. საპირისპიროდ, ხშირად არ ხორციელდება ბავშვთან ახლო, ნდობითი ურთიერთობის დამყარება, ასევე მისი აღელვებისა თუ გადაღლილობის დროს არ ხდებოდა შესვენებების გამოყენება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სახეზე იყო ცრემლები, შფოთვა და სხვა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ერთიანი მიდგომის შემუშავება სახელმძღვანელო პრინციპების სახით, სადაც ყველა მოსამართლეს ექნება ერთიანი ინსტრუქცია არასრულწლოვანთან წინასწარი შეხვედრის ჩატარების, მასთან წესებზე შეთანხმების, პროცესის არსისა და მიზნის განმარტების მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს მოსამართლის მხრიდან არასრულწლოვანთან საკომუნიკაციო ენა, მისი მახასიათებლები, რისი გათვალისწინებაც მოხდება პროცესის მიმდინარეობისას.

ასევე სტრესული იყო დაკითხვის პროცესი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი, მოსამართლე და ბრალდებულის ადვოკატი ახდენდა გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ბავშვის მხრიდან სასურველი პასუხების მისაღებად, იყენებდა რა მიმართულების მიმცემ/ჩამაგონებელ შეკითხვებს. ხშირი იყო ბავშვების დადანაშაულება და მათი ტრავმატიზაციის მცდელობა. ნახევარზე მეტ შემთხვევაში განხორციელდა მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნის დადანაშაულება, თუ რატომ არ მიმართა დახმარებისთვის შესაბამის პირს/უწყებას და რომ მათ წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებაში თავად ისინი არიან დამნაშავენი.

მოწმე/დაზარალებული ბავშვების დაკითხვის პროცესში კითხვის დამსმელი მხარეები ხშირ შემთხვევაში არ ხელმძღვანელობდნენ ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული პროტოკოლით. დაკითხვის პროცესში არ ხდებოდა როგორც პროტოკოლის ფაზების დაცვა, ისე დარღვეული იყო მისი ძირითადი პრინციპები, წაეხალისებინა თავისუფალი თხრობის სტილი, დასმულიყო ღია შეკითხვები.

აღნიშნული ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაკითხვის პროცესის ხარისხის კონტროლის/მონიტორინგის მიმართულებით. საჭიროა დაკითხვის მწარმოებელი პროფესიონალების მუდმივი გადამზადება (NICHD) პროტოკოლით დაკითხვის სპეციფიკაში, ასევე პერიოდული სუპერვიზიის/უკუკავშირის მექანიზმის შექმნა ამ გზით ჩატარებული დაკითხვის მეთოდიკაში.

ასევე მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის მხარდამჭერი პირის ინსტიტუტის განვითარება, რადგან მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში მონაწილეობდა დაკითხვის პროცესში მოწმე/დაზარალებულის კოორდინატორი და ორ შემთხვევაში ფსიქოლოგი. აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგი აქტიურად იყო ჩართული ბავშვის დაკითხვის პროცესში, როგორც მიმართულების მიმცემი შეკითხვებზე მითითების, ისე სხვა საკითხების დროს. თუმცა ჩართულობის სიმცირიდან გამომდინარე რთულია შეფასდეს მათი საუკეთესო როლი ამ პროცესში.

გარდა ამ პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობისა, საჭიროა ქვემოთ წარმოდგენილი კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებაც, რათა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ნამდვილად უზრუნველყოფდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას და პასუხობდეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს.

რეკომენდაციები

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით, მოწმე ბავშვები უზრუნველყოფილნი იყვნენ დაცვის სავალდებულო უფლებით

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:

- განსაზღვროს ფსიქოლოგების [არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში] სპეციალიზაციაში მომზადება/გადამზადებასა და ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავებაზე პასუხისმგებელი უწყება

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- შეიმუშავოს დროში გაწერილი გეგმა სასამართლოების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით (უნდა შეიქმნას არასრუწლოვან ბრალდებულზე, მოწმე/დაზარალებულზე მორგებული გარემო; ინფრასტრუქტურა უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირების საჭიროებებზე; სასამართლოს შენობაში შესაძლებელი უნდა იყოს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა; პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნებისთვის უნდა შეიქმნას დროებითი მოთავსების შესაბამისი პირობები და უნდა იყოს მათი სრულწლოვანთაგან განცალკევებით მოთავსების შესაძლებლობა; პატიმრობაში არ მყოფი ბრალდებული არასრულწლოვნებისთვის, მოწმეებისთვის და დაზარალებულებისთვის უნდა შეიქმნას სპეციალური მოსაცდელი სივრცეები)
- შეიმუშავოს სასამართლო პროცესებში მონაწილე თარჯიმნების [არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში] სპეციალიზაციაში მომზადება/გადამზადებისა და ხარისხის კონტროლის სისტემა
- შეიმუშავოს სახელმძღვანელო პრინციპები სასამართლო განხილვის პროცესში, მოსამართლეების მხრიდან ფსიქოლოგის ჩართვის თაობაზე

რეკომენდაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- შეიმუშავოს პროკურორთა კვალიფიკაციის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია) და ხარისხის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი;
- ბავშვების დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შეიმუშავოს სახელმძღვანელო პრინციპები.

რეკომენდაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას/საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურს:

- შეიმუშავოს ადვოკატთა გადამზადების განგრძობადი სისტემა, კვალიფიკაციის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია) და ხარისხის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- შეიმუშავოს სოციალური მუშაკების (საპროცესო წარმომადგენლის სტატუსით მოსარგებლე) კვალიფიკაციის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია) და ხარისხის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი